კოალიციური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ოთხშაბათი, 18 ივლისი, 2012 №169 (5859) ფასი: 30 თეთრი

4 ივლისიდან
„ახალი თაობა“+
ლი კუან იუ
(სინგაპურის ისტორია)
8 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპირისპირება ახმეტის „ქართულ ოცნებაში“

გვ. 4

საპარლამენტო ასოციაციის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერჯაანში ვენჭს მანანა ბერიკაშვილი იყრის, ბათუმში — მურმან დუმბაძე

გვ.3

შალვა ნათელაშვილი: „სააკაშვილი და ივანიშვილი საერთაშორისო ტრიბუნალზე უნდა მოხვდნენ“

გვ.2

თბილისი რუსი გენერლის თავხედობამ აღაშფოთა

გვ.6

პენსიონერებს სადაზღვევო პოლისებს დაურიგებენ

გვ.6

გვ.5

მამუკა გიორგაძე: „არ მინდა, ივანიშვილი ქდმ-სა და ნაციონალების გვერდით ვიხილო!“

ჯონ ბასი საქართველოს დაემშვიდობა

— გვ. 4 —

ფიქრია ჩიხრაძე თელავში იყრის კენჭს

გვ.6

„თბილისის მიკროავტობუსმა“ 42 მძღოლს 10 დღით მუშაობის უფლება შეუჩერა

გვ.4

გვ.3

პრეზიდენტმა შატილის კომპლექსი მოინახულა

4 ივლისიდან
„ახალი თაობა“+
მაფიის ისტორია
10 ლარი

ISSN 1987-9385

3 გიორგი ფოჩხუას მკვლელობაში ბრალდებული ბექა ცობეხია დანაშაულს აღიარებს

7 გელა ნიკოლეიშვილი: „ხელისუფლება არც ქვის სროლას მოერიდება და არც თოფისას“

3 ბაქოში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

7 ზონდერებსა და ყარყარაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა

შალვა ნათელაშვილი: „სააკაშვილი და ივანიშვილი საერთაშორისო ტრიბუნალზე უნდა მოხვდნენ"

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია და მისი ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობენ და იმედი აქვთ, რომ საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ყველა იმ დანაშაულის გამო გაასამართლებს, რომლებიც რევოლუციური ხელისუფლების პერიოდში განხორციელდა ხელისუფლების მიერ.

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ის ბრალდებები, რომლებიც, თავის მხრივ, უმძიმესია, დაახლოებით ათ დიქტატორს მაინც ეყოფოდა გასასამართლებლად.

– ჰააგის საერთაშორისო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქმის აღსაძრავად წარდგენილი მასალების შესწავლა-ანალიზი დაიწყო, – აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი და ამის მიზეზად იმ მასალებს ასახელებს, რომლებიც ლეიბორისტულმა პარტიამ სააკაშვილის პასუხისგებაში მისაცემად ჰააგის სასამართლოში 2010 წელს გადააგზავნა.

აღსანიშნავია, რომ ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის შესწავლასთან დაკავშირებით ლეიბორისტულმა პარტიამ პასუხი მიიღო, რომელიც პარტიის ლიდერმა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გაახმაურა.

– როგორც საყოველთაოდ ცნობილია, კრიმინალ ივანიშვილის მილიარდებით ხელისუფლებაში ძალადობით მოსული საქართველოს დე ფაქტო პრეზიდენტი კარგა ხანია ჩამოყალიბდა საერთაშორისო დამნაშავედ. მის სინდისზეა დიქტატურა, რეპრესიები, ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ტერიტორიების დაკარგვა. ყველაფერ აღნიშნულზე ლეიბორისტულმა პარტიამ მიხეილ სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემის მოთხოვნით მიმართა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს და აი, ჰააგის ტრიბუნალიდან მივიღეთ ისტორიული პასუხი, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ საქმის აღსაძრავად წარდგენილი მასალების შესწავლა-ანალიზი უკვე დაწყებულია. ჩვენ მანამდე გავაგრძელებთ ბრძოლას, სანამ საერთაშორისო ტრიბუნალზე არ მოხვდებიან სააკაშვილ-ივანიშვილი და მთელი ეს ბანდა, რომლებმაც ჩვენი სამშობლო ასე დააქციეს, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა. მისივე თქმით, არ იცის, რამდენი დრო დასჭირდება სასამართლოს მასალების შესასწავლად, რადგან მსგავსი მასალების შესწავლას დიდ დროს უთმობენ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, 2010 წლის 19 ოქტომბერს მიმართა ლეიბორისტულმა პარტიამ ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს აპელაციით და მოითხოვა, მიხეილ სააკაშვილის, როგორც საერთაშორისო დამნაშავის გასამართლება რომის სტატუტის შესაბამისი მუხლებით, რომელთა საფუძველზეც მოქმედებს აღნიშნული ტრიბუნალი.

– საფუძველი ამ მიმართვის გახლდათ სააკაშვილის მიერ ჩადენილი ადამიანობის საწინააღმდეგო დანაშაულთა მთელი კასკადი, რომელიც გასასამართლებლად ეყოფოდა მინიმუმ ათ დიქტატორ პრეზიდენტს. აქ მხედველობაშია ხელისუფლების ძალადობით დამხობა, რეპრესიები, პოლიტიკური დევნა, პოლიტიკური მკვლელობები, ნულოვანი ტოლერანტობა, ამის შედეგად ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდები, პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ციხეში, მათი წამება, მათი ოჯახის წევრების პოლიტიკური დევნა და ა.შ. აი, ეს ჩამოთვლილი ფაქტები იქნა გაანალიზებული, ქრონოლოგიურად დაწყობილი და წარდგენილი ყველაზე მაღალი დონის საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტანციაში, რომელმაც უკვე გაასამართლა და დააპატიმრა არაერთი დიქტატორი, მათ შორის მოქმედი პრეზიდენტიც, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ქვეყნის პირველმა ლეიბორისტმა 2010 წელს შეტანილი აპელაციის ამ ეტაპზე განხილვის დაწყება იმით ახსნა, რომ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ განხილვა რომ დაიწყოს, საკმაოდ რთული პროცედურების გავლაა საჭირო. ლეიბორისტების აპელაციის შესწავლას კი ორი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ საბოლოოდ დღის წესრიგში დ[illegible] დგარიყო მისი განხილვა. იმ დონეს, რ[illegible] ეტაპზეც ლეიბორისტების სარჩელ[illegible] დღეისათვის, ნათელაშვილის თქმ[illegible] ეწოდება წინასაგამოძიებო სტადია.

როგორც პრესკონფერენციაზ[illegible] ითქვა, ჰააგის ტრიბუნალის პროკურორი ოკამპო უკვე წყვეტს საკითხს, დაიწ[illegible] ყოს თუ არა გამოძიება კონკრეტულ[illegible] საერთაშორისო დამნაშავის მიმართ.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მსოფლიოს დახმარებით, ჩვენი სულიერებით და სიმტკიცით საბოლოოდ გავთავისუფლდებით ამ ბანდიტებისგან, რომლებიც ცდილობენ ჩვენს დაშინებას, მოსყიდვას და ჩვენს გამოყენებას საკუთარი ბინძური მიზნებისთვის. აქ იგულისხმება ვარდების რევოლუციის ყველა ბელადი, მიუხედავად იმისა, დღეს ის ოპოზიციაშია თ[illegible] ხელისუფლებაში სააკაშვილის გვერ[illegible] დით. ჩვენ ამ ბრძოლას ბოლომდე მ[illegible] ვიყვანთ, დიდი იმედი გვაქვს ხალხის მხარდაჭერის და იმის, რომ ქართველ[illegible] ხალხი კიდევ ერთხელ არ მოიტყუებ[illegible] თავს, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა და ჟურნალისტებს პროკურორ[illegible] ოკამპოს მიერ გამოგზავნილი წერ[illegible] ლის შინაარსი გააცნო, სადაც ჰააგის პროკურორი მადლობას უხდის ლეიბორისტულ პარტიას გაგზავნილ[illegible] მტკიცებულებების გამო.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მტკიცებულებებს შორის არ[illegible] მასალები გია ბარამიძის მინისტრობ[illegible] დროს სვანეთში ჩახოცილი აფრ[illegible] ების ოჯახის შესახებაც.

შალვა ნათელაშვილის თქმით, ჩვენი ხალხი არავის აპატიებს ერ[illegible] ს და ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, ამდენ წამებასა და მოტყუებას და სათანადო პასუხს მოსთხოვ[illegible] ამის ჩამდენ ხელისუფლებას.

სიღნაღში მოსახლეობას სახლები დაუნგრიეს

გულიკო ბალაძე

სიღნაღში ფასადური რეკონსტრუქციის დროს მოქალაქეებს სახლები დაუნგრიეს. ერთ-ერთი ასეთი იყო ლიდია მჭედლიშვილი, რომელსაც სახლი დაუნგრიეს, ძვირადღირებული მასალები კი გაზიდეს. დაზარალებულს დღემდე ვერ გაურკვევია, თუ რატომ დაუნგრიეს სახლი.

საქართველოში საკუთრების უფლების შელახვის არაერთი ფაქტია გამოვლენილი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზაციას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, წარმოადგენს გიორგი თევზაძე.

მას განცხადებით მიმართა სიღნაღის მკვიდრმა, დაზარალებულმა ქალბატონმა ლიდია მჭედლიშვილმა, რომელსაც სიღნაღის რეკონსტრუქციის პროცესში სახლი დაუნგრიეს და დანგრეული დაუტოვეს.

ადამიანის უფლებების დამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს, რომ საკუთრების უფლების შელახვის ფაქტები ჯერ კიდევ 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციის პერიოდში დაიწყო, რომლის დროსაც მომხდარი არაერთი შემთხვევა საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი.

სიღნაღში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრები ქალბატონის ლიდია მჭედლიშვილის განცხადებაში მოყვანილი გარემოებებით, სარესტავრაციო სამუშაოების შესრულების დროს იგი არ იმყოფებოდა სიღნაღში. ამით ისარგებლეს სამშენებლო კომპანია „თბილისის" ცალკეულმა ხელმძღვანელმა პირებმა და დაანგრიეს მისი კუთვნილი სახლი, მოანგრიეს კედელი და სახურავი, გაზიდეს ძველი ქართული აგური.

ორსართულიანი სახლი ახლა გავერანებულია. ძველი ქართული აგურით, საკმაოდ ძვირადღირებული მასალით ნაშენი კედლები დაანგრიეს და წაიღეს. საუბარია რამდენიმე ათეული ათასი ლარის ღირებულების მასალაზე. დაზარალებული სახლის მეპატრონე ლიდია მჭედლიშვილი დღემდე გაურკვეველ მდგომარეობაშია. ამიტომ მან თავისი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით დახმარებისათვის განცხადებით მიმართა გიორგი თევზაძესა და კახეთის საოლქო პროკურატურას.

დაზარალებულის განცხადება რეაგირებისთვის თავდაპირველად კახეთის საოლქო პროკურატურას გადაეგზავნა. თუმცა სიღნაღის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი განაცხადა. სრული და ობიექტური რეაგირებისათვის, ყოველმხრივი შესწავლისთვის მესაკუთრე ლიდია მჭედლიშვილის განცხადება ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი თევზაძემ განმეორებით გადაუგზავნა საქართველოს იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს ობიექტური და კანონიერი რეაგირებისთვის.

გამოიძიებენ თუ არა ობიექტურად ამ საქმეს, მომავალი გვიჩვენებს. თუმცა, იშვიათია შემთხვევა, როცა ხელისუფლებას თავისი დანაშაული ეღიარებინოს და გამოეძიებინოს. სააკაშვილის ხელისუფლებას კი მით უმეტეს, არ ახასიათებს რაიმეს აღიარება და ობიექტური გამოძიება.

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ ლიდია მჭედლიშვილის განცხადება კონტროლზე აიყვანა და მონიტორინგს ახორციელებს.

– ბატონო გიორგი, როგორც გავიგე, სიღნაღში ფასადური რეკონსტრუქციების დროს სხვა მეპატრონეებიც დაზარალდნენ. ვინ არის პასუხისმგებელი?

– ლიდია მჭედლიშვილის განცხადების შესწავლამ დღის წესრიგში დააყენა ზოგადად სიღნაღის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოების ხარისხის შესწავლა, ხარჯვის მიზნობრიობის გარკვევა კომპეტენციის ფარგლებში და იმ პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, რომლებიც ამ სამუშაოების შედეგად დაზარალდნენ. საერთაშორისო ორგანიზაცია მოძიებულ და შესწავლილ ინფორმაციას საზოგადოებას მოგვიანებით მიაწვდის.

– თქვენს ორგანიზაციას მიმართა დაზარალებულმა. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?

– ეს საკითხი და ლიდია მჭედლიშვილის მიმართ შექმნილი ვითარება აქტუალურია არა მარტო სიღნაღის განახლების სამუშაოების თვალსაზრისით, არამედ საქართველოს ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში განხორციელებული სამუშაოების ხარისხობრივი მდგომარეობის თვალსაზრისითაც, რომელიც უკავშირდება კონკრეტული მესაკუთრეების უფლებების დარღვევას. ჩვენი ორგანიზაციის ვალდებულებას წარმოადგენს სრული და ობიექტური რეაგირება ყველა იმ ფაქტზე, რომელიც უკავშირდება მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევას. ლიდია მჭედლიშვილის შემთხვევაში ამ უფლებების დარღვევა აშკარად იკვეთება იმ თანდართული დოკუმენტების გათვალისწინებით, რომლებიც მის განცხადებას თან ერთვის. სწორედ ამიტომ ვთხოვეთ იუსტიციის მინისტრს, პირადად კონტროლზე აიყვანოს ლიდია მჭედლიშვილის განცხადებაში მითითებული ფაქტების შესწავლა.

– თუ იცით იმ სამშენებლო კომპანიის შესახებ, რომელიც აწარმოებდა სამუშაოებს სიღნაღის რეკონსტრუქციის პროცესში?

– ლიდია მჭედლიშვილის განცხადების შესწავლის პროცესში ორგანიზაციამ ოფიციალური წყაროებით გარკვეული ინფორმაციები მოიპოვა სამუშაოების ჩამტარებელი კომპანიისა და იმ ცალკეული თანამდებობის პირების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ სიღნაღის განახლების სამუშაოებზე. ინფორმაცია დამუშავების ეტაპზეა და მასზე საზოგადოების ინფორმირება მოგვიანებით მოხდება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ არც განმცხადებლის და, შესაბამისად, არც ჩვენი ორგანიზაციის პრეტენზია არ უკავშირდება სამშენებლო კომპანიის მიმართ სამოქალაქო ზიანის მოთხოვნას, როგორც ეს წარმოაჩინა სიღნაღის პროკურატურამ თავის წერილში, არამედ შესწავლას საჭიროებს იმ ცალკეული თანამდებობის პირების ქმედებები (თანამდებობრივ ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი გადაცდომას), რომელთა გამოც მოხდა ლიდია მჭედლიშვილის უფლებების ხელყოფა.

– ხშირია ორგანიზაციის სახელზე გაკეთებული ისეთი განცხადებები, რომლებიც უკავშირდება საკუთრებისა და სხვა უფლებების დარღვევას?

– ხშირად მოგვმართავენ მოქალაქეები როგორც საკუთრების უფლების დარღვევის, ასევე მათი სოციალური და სხვა სახის უფლებების ხელყოფის ფაქტებთან დაკავშირებით. არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. რამდენიმე დღის წინ დახმარებისთვის მოგვმართა თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩა №4-ში მცხოვრებმა ელენე გორგიშელმა, რომელიც აფხაზეთის ომში დაღუპული ქართველი მეომრის მეუღლეა. იგი არის ეთნიკურად უკრაინელი. მისი განცხადებით, მეზობლების უკანონო ქმედებებით უხეშად ილახება საცხოვრებელ სახლში მისი საკუთრების უფლებები. ხელყოფა მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება. აღნიშნული პირის განმარტება სხვა საგანგამოგარემოებებსაც შეეხება, რაც მოცემულ ეტაპზე ჩვენი მხრიდან შესწავლის სტადიაშია. ვგეგმავთ რეაგირებისათვის სათანადო ორგანოებში ამ ფაქტების გადაგზავნას. ქვეყანაში თითოეული მოქალაქის უფლებები გარანტირებული უნდა იყოს და მას სახელმწიფო თავისი სტრუქტურების მეშვეობით უნდა იცავდეს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გულიკო ბალაძე

გურჯაანში კენჭს მანანა ბერიკაშვილი იყრის, ბათუმში — მურმან დუმბაძე

ივანიშვილმა მაჟორიტარების ნაწილი წარადგინა

გუშინ ბიძინა ივანიშვილმა აჭარის, სამეგრელოსა და კახეთის რიგ რაიონებში კოალიცია „ქართული ოცნების“ 12 მაჟორიტარი წარადგინა.

კოალიციის სახელით საპარლამენტო მანდატების მოპოვებისთვის გურჯაანში მანანა ბერიკაშვილი იბრძოლებს, რომელიც გახლავთ ცნობილი მსახიობის, გივი ბერიკაშვილის შვილი; თელავში — გელა სამხარაული, რომელიც სპეციალობით მშენებელი ინჟინერია. იყო ბაქო თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის მენეჯერი; აბაშაში — ირაკლი საბულუა, ბიზნესმენი; სენაკში — გურამ ოდიშარია, მწერალი, დრამატურგი; ფოთში —ეკა ბესელია, ადვოკატი, ცნობილი უფლებადამცველი; ლენტეხში — გაზდელიანი, ეკონომისტი; ბათუმში—მურმან დუმბაძე, კიბერნეტიკოსი, აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი რესპუბლიკური პარტიიდან; ქედაში — დავით ანანიძე, აჭარის ყოფილი პროკურორი, ქედის რაიონის მოსამართლე, აჭარის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე; ქობულეთში — ფატი ხალვაში, პედაგოგი (ქიბარ ხალვაშის და); შუახევის — შოთა ზოიძე, პოეტი, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე; ხულოში — ზიადა აგინაძე, პოეტი; ხელვაჩაურში — როსტომ ხალვაში.

ბიძინა ივანიშვილმა, როგორც წესი, თავისი დასახელებული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაახასიათა, შემდეგ კი ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა.

ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტის კითხვის პასუხად განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო ცხინვალში საომარი მოქმედებები და არა ომი.

— საომარი მოქმედებების დაწყებასა და ომის დაწყებას შორის დიდი სხვაობაა. საქართველო ომს ვერ დაიწყებდა ელემენტარული მიზეზის გამო, რადგან ჩვენი ტერიტორიაა. ქვეყანა ომს საკუთარი ქვეყნის შიგნით ვერ დაიწყებდა. საომარი მოქმედებების წამოწყება სხვა რამ არის.

— როგორ მოხდა მაჟორიტარების შერჩევა? როგორ ღებულობენ გადაწყვეტილებებს მაჟორიტარი კანდიდატების დასახელების პროცესში? საბოლოო გადაწყვეტილებას ვინ ღებულობს?

— საბოლოო გადაწყვეტილებაში მე აუცილებლად ვმონაწილეობ, რა თქმა უნდა, მაგრამ პროცესი მიმდინარეობს რეგიონებში ვითარების შესწავლით. პრინციპი იგივეა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია წარსული (როგორი პრინციპებით აქვს ნაცხოვრები პიროვნებას), პროფესიონალიზმი და კიდევ სხვა თვისებები, რომელიც მათ დამსახურებაზე მეტყველებს.

კითხვა დაისვა ორი დღის წინ ენდიაის ხელმძღვანელის ლუის ნავაროს მიერ გამოქვეყნებულ კვლევის შედეგებთან დაკავშირებით, რომ ენდიაის კვლევის შედეგები, ჩანს, რომ არ ასახავს რეალობას.

წლების განმავლობაში ლუის ნავარო აქვეყნებს ხოლმე კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვით ნაციონალური მოძრაობა არის წინ და შემდეგ ამერიკული ორგანიზაციის სახელით ხდება მანიპულირება და არჩევნების შედეგების გაყალბება.

როდემდე გაგრძელდება ამერიკული ინსტიტუტების სახელით მანიპულირება იმ პირის მხრიდან, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, შემჩნეულია ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში? აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, ამერიკული ინსტიტუტების პრესტიჟი ისევ ჩვენი დასაცავი ხდება.

ამასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ ენდიაის კვლევების შედეგებზე თავისი პოზიცია ჩამოაყალიბა. ენდიაის კვლევის შედეგები „ქართული ოცნებას“ ვერ დააზიანებს.

— ჩვენს კოალიციას ეს კვლევები პრაქტიკულად ვერ აზიანებს. ერთადერთი, რისი შიშიც მაქვს, ვიცი განწყობა მათი კვლევებისადმი საზოგადოებაში და არ მინდა, გაფერმკრთალდეს ის დამსახურება, რასაც ენდიაი რეალურად იმსახურებს საქართველოში განხორციელებული ბევრი დემოკრატიული პროექტისა და მხარდაჭერისათვის. მოსახლეობაში ენდიაის მიმართ გარკვეული სკეპტიციზმი შეიმჩნევა.

ენდიაის კვლევებთან დაკავშირებით კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა სოზარ სუბარმა გააკეთა კომენტარი. სოზარ სუბარის განცხადებით, ენდიაისაც ენდობიან და აირაისაც თუ გამჭვირვალეს გახდიან კვლევის შედეგებს.

— ენდიაის იმიტომ ხომ არ უცხადებთ უნდობლობას, რომ კვლევების ჩატარებას უკვეთავს თარხნიშვილს, რომელიც გაყალბებასთანაა ასოცირებული?

— თარხნიშვილი გაყალბებასთან კი არ არის ასოცირებული, გამყალბებელია. მან ხათუნა გოგრიშვილსაც კი გადაასწრო, სამწუხაროდ, ამ არასამთავრობო სექტორიდან მოსულმა ადამიანმა. ამიტომ ვუცხადებთ უნდობლობას, თორემ ზოგადად არც ენდიაის მიმართ მაქვს უნდობლობა, არც აირაის მიმართ და არც არავის მიმართ, რომლებიც ატარებენ გამოკვლევებს. უნდობლობა მაქვს არაგამჭვირვალე მეთოდოლოგიის მიმართ და იმ პირის მიმართ, რომელსაც მუდმივად უკვეთავენ კვლევებს.

როგორ პრესკონფერენციაზე გახმოვანდა, ვალერი გელბახიანი სარჩელს ამზადებს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მის გამონათქვამებთან დაკავშირებით. ამ კითხვის პასუხად, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ დაველოდოთ სარჩელის შეტანას.

ფოთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ეკა ბესელია აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის მოლოდინი ფოთთან დაკავშირებით არ გამართლდება.

— ხელისუფლებას რატომღაც ჰგონია, რომ სამეგრელო მისი ავტონომიური დასაყრდენია, რაც რეალობას არ შეესაბამება. ნაციონალური მოძრაობის მოლოდინი, რომ ის სამეგრელოში ხმების 99%-ს წამოიღებს, არ გამართლდება. სამეგრელოში სხვა რეგიონებთან შედარებით დიდია ტერორი და ზეწოლაა ახალაიების გავლენით. საარჩევნო ბრძოლა რთული იქნება, მაგრამ ეს სირთულე არ მაშინებს. კარგად ვაცნობიერებ პასუხისმგებლობას, რაც დაგვეკისრა. განსაკუთრებით გვერდით იმ რეგიონებს უნდა დავუდგეთ, სადაც ხელისუფლების ზეწოლა დიდია. ფოთში მომავალი კვირიდან მივდივარ, მიმყავს ძალიან კარგი გუნდი, მომზადებული გვაქვს ფოთის განვითარების კონცეფცია.

ბიძინა ივანიშვილმა მურმან დუმბაძესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ის მებრძოლი პიროვნებაა, კარგად იცნობს ბათუმის და, საერთოდ, აჭარის პრობლემებს. ამასთან ერთად, ის არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ბოდიში მოიხადოს, თუ ეს საჭირო იქნება და რაიმე შეეშლება. მათ ჰქონიათ კამათიც. ვინც საქმეს აკეთებს, მას რაღაც შეიძლება შეეშალოს და ბოდიშიც მოიხადოს.

ბიძინა ივანიშვილმა მიგვანიშნა, რომ ბოდიშის მოხდა ამ ქვეყანაში არ შეუძლია მიხეილ სააკაშვილს.

— ბოდიშის მოხდა კი ამ ქვეყანაში მხოლოდ ერთ კაცს არ შეუძლია, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

არადა, ბოდიშის მოხდა მიხეილ სააკაშვილს არ შეუძლია კი არა, აზრადაც კი არ მოუვა, რადგან თავი აღმაშენებელი ჰგონია და თბილისის დაკნინების ხარჯზე ქუთაისში აკოწიწებს დედაქალაქს, რომ მისი და აღმაშენებლის „მსგავსების“ რამენაირი ასოციაცია გაუჩინოს ხალხს, მაგრამ, როგორც ჩანს, არაფერი გამოუვა.

მურმან დუმბაძემ განაცხადა, რომ საუბარი იყო მალსანკინთან დაკავშირებულ მის განცხადებაზე, რაზეც მან ბოდიში მართლაც მოიხადა — მისი ორგანიზაციის სახელით განცხადება გაავრცელა.

მურმან დუმბაძე აცხადებს, რომ ბათუმის პრობლემებს კარგად იცნობს. ზოგადად კი შესაცვლელია ქვეყნის დეგრადირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რისთვისაც ის იბრძოლებს პარლამენტში.

— საქართველოს პარლამენტი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანოა. უნდა შეიცვალოს ქვეყნის შიდა პოლიტიკა, დეგრადირებული საშინაო პოლიტიკა. ამაში უზარმაზარი წვლილის შეტანა შეიძლება. უნდა შეცვალოს ასევე დეგრადირებული საგარეო პოლიტიკაც, როცა სამეზობლო ურთიერთობებიც კი არ არის დალაგებული. უნდა დავიწყოთ მოლაპარაკებები რუსეთთან, განვამტკიცოთ ურთიერთობები სომხეთსა და აზერბაიჯანთან. უნდა დავალაგოთ ურთიერთობები თურქეთთან. მოგეხსენებათ, ეს ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული საკითხია იმიტომ, რომ არ შეიძლება სტუმარი ყოველთვის იყოს ოქრო. სტუმარი დილით ოქროა, შუადღისას — ვერცხლი და საღამოს ბრინჯაოდ იქცევა. ასე რომ, მე ამ დევიზით ვიმუშავებ საქართველოს პარლამენტში.

— ბათუმში კონკრეტულად რას გააკეთებთ?

— მე ძალიან დიდი ხანია ვარ პოლიტიკაში. თითოეულ ოჯახს, თითოეულ მოქალაქეს ვეტყვი იმას, რის გაკეთებასაც ვაპირებ. ვიბრძოლებ ძლიერი სახელმწიფოს, კონსტიტუციური, კანონიერი სახელმწიფოს შექმნისთვის.

მერაბიშვილმა გორის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი გუშინ შიდა ქართლის რეგიონს ეწვია.

მერაბიშვილმა გორის ცენტრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და გორის რაონის სოფელ კვარხეთს ეწვია, სადაც ადგილობრივი ფერმერების პრობლემებს გაეცნო.

როგორც მერაბიშვილმა განაცხადა, აუცილებელია შემუშავდეს ახალი კონცეფცია, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ გორის ციხეს ტურისტებისთვის და დამსვენებლებისთვის უფრო მიმზიდველს გახდის.

რაც შეეხება ხილის მოსავლის რეალიზებას, ადგილობრივი ფერმერები აცხადებენ, რომ მთავარი პრობლემა საწავის და სასუქის მაღალ ფასებთან ერთად გასაღების ბაზრის მოძიებაა, რაშიც მათ ხელისუფლების დახმარება სჭირდებათ.

ნიუსპრესი

პრეზიდენტმა შატილის კომპლექსი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ შატილის კომპლექსი მოინახულა, სადაც ცოტა ხნის წინ ცენტრალური კოშკის სამხრეთ კედლი ჩამოიშალა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ცუდია რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება კედლის ჩამოშლამდე ვერ მოესწრო, თუმცა, ის დარწმუნებულია, რომ კომპლექსი მთლიანად გამაგრდება.

„ამას აღვადგენთ, ერთი კედელი არაფერია, ამაზე ბევრად უფრო რთული აღგვიდგენია. მთავარია, რომ მთელი კომპლექსი გამაგრდება“ — განაცხადა სააკაშვილმა. როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში აცხადებენ, სარესტავრაციო სამუშაოები, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირის შემდეგ დაიწყება და შატილის კომპლექსის 3-4 კოშკი, რომლებიც ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია სექტემბრის ბოლოსთვის აღდგენილი იქნება.

შატილის კომპლექსის დაზიანების მასშტაბების შესასწავლად გუშინ შატილში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლები ჩავიდნენ.

კომპლექსი 35 კოშკისგან შედგება. ნიუსპრესი

ბაქოში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

ბაქოში კრიმინალური ავტორიტეტი კობა კვახაძე დააკავეს, — იუწყება „ნოვოსტი-აზერბაიჯანი“ სამართალდამცავი ორგანოებზე დაყრდნობით.

წყაროს ცნობით, მისი მეტსახელია „კობა გრუზინსკი“. მას საცხოვრებელი სახლების ძარცვაში ადანაშაულებენ. გარდა ამისა, ჩხრეკისას ჰეროინიც აღმოაჩინეს. საქართველოს მოქალაქეობის მქონე კვახაძე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 2011 წლიდან იძებნება.

სააგენტოს ინფორმაციით, დაპატიმრებულმა 12 ძარცვა უკვე აღიარა. მისი ნაძარცვი ოქროს ნაკეთობები და ათობით ათასი მანათი იყო (ერთი მანათი დაახლოებით ერთი ევროს ეკვივალენტია). კობა კვახაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული. გამოძიება გრძელდება.

მედიანიუსი

გიორგი ფოჩხუას მკვლელობაში ბრალდებული ბექა ცობეხია დანაშაულს აღიარებს

მსახიობ გიორგი ფოჩხუას მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბექა ცობეხია, რომელიც სამართალდამცავებმა გუშინწინ დააკავეს, ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. ამის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გიორგი ფოჩხუას განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, 1992 წელს დაბადებული ბექა ცობეხია დააკავეს. მას ბრალი საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით ედება.

„დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, რომლის მოტივადაც ურთიერთშელაპარაკება სახელდება. ასევე, დაკავებულია ბრალდებულის მეგობარი, დაცვის პლიციის თანამშრომელი, 1990 წელს დაბადებული ნიკოლოზ ბაძაღუა, რომელიც ბრალდებულია საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება)“ — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

პოლიციის მიერ ამოღებულია გარდაცვლილის ფოტოაპარატი და მობილური ტელეფონი.

27 წლის მსახიობი და მომღერალი გიორგი ფოჩხუა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. მანამდე კი, ის ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პროექტ „ჯეობარში“ მონაწილეობდა. გარდაცვლილს მეუღლე და ერთი შვილი დარჩა.

ნიუსპრესი

დაპირისპირება ახმეტის „ქართულ ოცნებაში“

„ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის უფროსი ზაქარია ქინქლაძე ნაციონალით ჩაანაცვლეს

თეა მარხვაიძე

ივნისში ახმეტაში მოხდა ინციდენტი, რომლის დროსაც აქტიური ოპოზიციონერი ციხეში ჩასვეს. საქმე ეხება ახმეტის საკრებულოს წევრ ზაქარია ქინქლაძეს. სასამართლომ მას 25-დღიანი პატიმრობა მიუსაჯა. „სროკს“ ქინქლაძე ხვალ ამთავრებდა. გარეთ გამოსულს კი სერიოზული და, რაც მთავარია, უსიამოვნო სიურპრიზი დახვდება.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ ქინქლაძე სულ შარშია გახვეული. ეს იმის ბრალია, რომ მან ჯერ კიდევ ოქტომბერში შექმნა ივანიშვილის მხარდამჭერი შტაბი ახმეტაში. მას შემდეგ დაიწყო და დაიწყო მისი პრობლემები.

თავიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ახმეტაში მას უნდა ეყარა კენჭი „ქართული ოცნებიდან“. ის წლების განმავლობაში იყო ახმეტის მერი და საკმაოდ კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. მერე გამოჩნდა ზვიადაური და ახლა ის იყრის კენჭს მაჟორიტარად. ქინქლაძეს კი მეოცნებეთა ახმეტის შტაბის უფროსობა დაუტოვეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ქინქლაძესთან დაკავშირებით გუშინ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. მათი ინფორმაციით, კოალიცია „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის უფროსი ზაქარია ქინქლაძე, რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება, თანამდებობიდან გაათავისუფლეს. შტაბის უფროსად თეიმურაზ გოდერძიშვილი დაინიშნა. იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია.

– დღეს გადაწყდა. ჯერ არ ჩამოვსულვარ ახმეტაში, ჩამოვალ და დაგელაპარაკებით. ჯერ ისევ ვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი. განცხადება არ დამიწერია, – განუცხადა გუშინ თეიმურაზ გოდერძიშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, გოდერძიშვილის კანდიდატურა „ქართულ ოცნებას“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზურაბ ზვიადაურმა წარუდგინა.

თეიმურაზ გოდერძიშვილი სახელისუფლებო პარტიიდან ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია სოფელ ოჟიოდან. ოჟიო ის სოფელი გახლავთ, სადაც რამდენიმე დღის წინ მგლები შეიჭრნენ და ერთ ოჯახს ცხვრის ფარა გაუნადგურეს.

რატომ ჩაანაცვლეს ზაქარია ქინქლაძე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრით, კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ამ საკითხზე კომენტარი არ გააკეთა.

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. ახლა შეხვედრაზე ვარ და არ მცალია, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

ზურაბ ზვიადაურს კი ტელეფონი მთელი დღის განმავლობაში გამორთული ჰქონდა. მოგვიანებით მეოცნებეებმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს. თუმცა არავის უარუყვია, რომ ქინქლაძე გოდერძიშვილით ჩაანაცვლეს.

ზაქარია ქინქლაძეს 25-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა აქვს შეფარდებული. ის ახმეტის პოლიციის თანამშრომლებმა წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით 24 ივნისს დაიკავეს. პოლიციაში მას ახმეტის გამგეობის თანამშრომელმა პაატა სუხიშვილმა უჩივლა, რომელიც 2010 წელს სიცოცხლის მოსპობის მუქარისთვის არის გასამართლებული.

მოსამართლე ლაბაზა დუიშვილმა ზაქარია ქინქლაძის სასამართლო პროცესი ისე ჩაატარა, რომ მასზე დასწრების საშუალება არც ადვოკატს მიეცა, არც ჟურნალისტებს და არც სხვა დაინტერესებულ პირებს.

ზაქარია ქინქლაძის ადვოკატებმა თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. ისინი სასამართლოს დადგენილების ბათილად ცნობას და ზაქარია ქინქლაძის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდნენ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ლომიძემ ზაქარია ქინქლაძის საჩივარი დაუშვებლად ცნო. ზაქარია ქინქლაძეზე და მისი ოჯახის წევრებზე დაპატიმრებამდეც არაერთი ზეწოლა განხორციელდა. ზაქარია ქინქლაძე პატიმრობიდან 19 ივლისს უნდა გაათავისუფლონ.

ქინქლაძე გარეთ ხვალ გამოვა. გარეთ გამოსულს კი სასიამოვნო ამბავი ნამდვილად არ დახვდება. იმედია, მეოცნებეები განუმარტავენ ამ გადაწყვეტილებას.

თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ ქინქლაძე ბევრ შარში გაეხვია. როგორც კი ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა, მას ახმეტაში ნაქირავები ფართის დაცლა მოსთხოვეს. ეს ფართი მას კომერციული საქმიანობისთვის ჰქონდა ნაქირავები. ფართის პატრონი კი ახმეტის პოლიციის თანამშრომელი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ მან ქინქლაძეს სასამართლოში უჩივლა.

ოცნების მიმართ სიმპათიების გამო ქინქლაძის შვილიც დაისაჯა. ის შარშან სამსახურიდან გაათავისუფლეს. სამსახურიდან საკუთარი განცხადებით წამოვიდა ქინქლაძის მეუღლეც.

მიმდინარე წლის მარტში გაურკვეველ ვითარებაში დაინვა ახმეტელი მეოცნების მეურნეობა. არის ეჭვი, რომ ეს ხანძარი მისი პატრონის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება.

ამით ყველაფერი არ დასრულებულა. ცოტა ხნის წინ ქინქლაძეს სახლი დაუყადაღეს. მას ბანკიდან კრედიტი ჰქონდა გამოტანილი. ივნისში პროვოკაცია მოუწყვეს. ის ციხეში აღმოჩნდა. გარეთ გამოსულს კი, როგორც უკვე ვთქვით, უსიამოვნო სიურპრიზი ელოდება.

ისე, ციხეში ყოფნის დროს პატიმარს აშიმშილებდნენ. კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მეოცნებემდე ამანათი არ აღწევდა. იურისტებმა და უფლებათა დამცველებმა ის უკანონო პატიმრად გამოაცხადეს.

„ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის წევრები შტაბის უფროს ზაქარია ქინქლაძის გათავისუფლებასთან დაკავშირებით კოალიციის სათავო ოფისიდან განმარტებებს ითხოვენ.

– ეს ამბავი კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან გავიგე, მეტი არაფერი ვიცი. აქამდე არაფერი გაგვიგია იმის შესახებ, თუ შტაბის უფროსის შეცვლა იგეგმებოდა. როგორც ვიცი, მაჟორიტარებს აქვთ უფლებამოსილება, რომ თვითონ დააკომპლექტონ შტაბი. ადრევე განაცხადეს სათავო ოფისში, ჩვენ დავალაგებთ ყველაფერს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების დასახელების მერეო და, ეტყობა, დაიწყეს დალაგება. მე ამ გადაწყვეტილების დასაბუთება და ახსნა-განმარტებები მჭირდება. ძალიან ბევრი კითხვა მაქვს და მერე ვნახოთ, რას ვიზამ, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს „ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის წევრმა ზაზა ლაგაზიძემ.

ზაზა ლაგაზიძის პოზიციას იზიარებენ შტაბის სხვა წევრებიც.

„ქართული ოცნების“ ახმეტის შტაბის უფროსის ზაქარია ქინქლაძის შვილის ლევან ქინქლაძის განცხადებით, შტაბის უფროსის თანამდებობიდან მამამისისა და მის ადგილზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის დანიშვნის შესახებ იმაზე მეტი არაფერი იცის, რაც კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა.

– რაც დაწერეთ, მაგის მეტი არაფერი ვიცი. არავის უთქვამს არც ჩემთვის და არც შტაბის სხვა წევრებისთვის. არ არის ლოგიკური გადაწყვეტილება, – განუცხადა ლევან ქინქლაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ცნობისათვის, ლევან ქინქლაძეც „ქართული ოცნების“ წევრია.

კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო-საორგანიზაციო სამსახურის უფროსი გელა ხვედელიძე კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში არ ადასტურებს ინფორმაციას კოალიციის ახმეტის შტაბის უფროსის თანამდებობიდან ზაქარია ქინქლაძის მოხსნისა და მის ადგილზე თეიმურაზ გოდერძიშვილის დანიშვნის შესახებ.

– ახმეტის შტაბის უფროსი ისევ ზაქარია ქინქლაძეა. 2 დღეში დატოვებს ის იზოლატორს. თეიმურაზ გოდერძიშვილმა რა თქვა და რა დადასტურა, მე არ ვიცი. მას არ ვიცნობ და არავის ახმეტის შტაბის უფროსად არ დაუნიშნავს, - განუცხადა გელა ხვედელიძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლის კომენტარის შემდეგ კახეთის საინფორმაციო ცენტრი თეიმურაზ გოდერძიშვილს ისევ დაუკავშირდა.

– არ ვიცი, ვინ რა გითხრათ. გზაში ვარ, თბილისიდან მოვდივარ. გითხარით, რომ ეგ საკითხი დღეს გადაწყდა და შტაბის ახალი ხელმძღვანელი ვარ, – აღნიშნა თეიმურაზ გოდერძიშვილმა.

ზაქარია ქინქლაძე იზოლატორს ხვალ დატოვებს. საინტერესოა, როგორ აუხსნიან თანამებრძოლები ამ გადაწყვეტილებას. მეოცნებეთა სათავო ოფისს განმარტებების გაკეთება სხვებისთვისაც მოუწევს.

მითუმეტეს, რომ ახმეტაში მათი მაჟორიტარობის კანდიდატს საქმე საკმაოდ რთულად აქვს. პეტრე ცისკარიშვილთან პოლიტიკურად ჭიდაობა ადვილი არ იქნება. ამის გარდა ზურაბ ზვიადაურს მოგვარეებთანაც გაუფუჭდა საქმე. მთელმა ქვეყანამ გაიგო მისი და ჯარჯი ზვიადაურის დაპირისპირების ამბავი. ეს უკანასკნელი მხარს პეტრე ცისკარიშვილს უჭერს. და იმ ზვიადაურის მსგავსად ამ ზვიადაურსაც ბევრი მოხრე ჰყავს. ისინი კი მისი ხათრით ალბათ ცისკარიშვილს შემოხვაზავენ.

თუმცა ვინ იცის. ამ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„თბილისის მიკროავტობუსმა“ 42 მძღოლს 10 დღით მუშაობის უფლება შეუჩერა

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ მგზავრთა საჩივრების საფუძველზე 42 მძღოლს 10 დღით მუშაობის უფლება ჩამოართვა.

კომპანიის დადგენილების თანახმად, 1 ივლისიდან ყველა მძღოლი ვალდებულია

მგზავრობის დროს კონდიციონერი ჰქონდეს ჩართული, თუმცა, საწვავის ეკონომიის მიზნით, მძღოლების ნაწილი მგზავრებს ამ სერვისზე უარს ეუბნებოდა.

„თბილისის მიკროავტობუსმა“ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, 42 მძღოლი გამოავლინა და სანქციის სახით, 10 დღის განმავლობაში მუშაობის უფლება შეუჩერა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ თუკი მძღოლების მხრიდან მსგავსი შემთხვევა განმეორდება, შესაძლოა, „თბილისის მიკროავტობუსმა“ მათთან დადებული ხელშეკრულება გააუქმოს.

ნიუსპრესი

ჯონ ბასი საქართველოს დაემშვიდობა

თეა მარხვაიძე

საქართველო ბასის გახემე დახჩა. აშშ-ის ან უკვე ყოფილმა ელჩმა ჩვენი ქვეყანა გუშინ დატოვა. ოპოზიციის მიერ მოხვეულგზის შეხისხულმა დესპანმა გამოსამშვიდობებელი ნეხიღიც დაგვინეხა. ნაელჩამა გამოსამშვიდობებელი უსტარი „ფეისბუქის“ გვეხდზე გამოაქვეყნა.

ის გამოსამშვიდობებელ წერილს ასეთი სიტყვებით იწყებს: „მე მიყვარს საქართველო“.

– გულდასაწყვეტია ამ ლამაზი და მიმზიდველი ქვეყნის დატოვება. ზოგიერთი იტყოდა, რომ აქ მოსახლეობა ძალიან პოლიტიზებულია, რაზეც მე ვამბობ, რომ ეს ყველაფერი ასახავს იმას, თურა ღრმად ზრუნავენ საქართველოს მოქალაქეები მათ მომავალზე. მე და ჩემი მეუღლე ჰოლი ვტოვებთ საქართველოს, მაგრამ არ ვამბობთ ნახვამდის, რადგან საქართველოს პატარა ნაწილი ვაშინგტონში ჩვენთან ერთად ბრუნდება. ჩემთვის დიდი პატივი და პრივილეგია იყო, რომ წარმოვადგენდი აშშ-ს საქართველოში. მე ყველა ჩემს მეგობარს და თითოეულ ადამიანს ამ ქვეყანაში მშვიდობას, ასევე იმის შესაძლებლობას ვუსურვებ, რომ განაგრძონ საკუთარი მომავლის არჩევა. მჯერა, რომ საქართველოს ნათელი დღეები წინ ელის, – აცხადებს ჯონ ბასი სოციალურ ქსელში.

ჯონ ბასი, რომელმაც საქართველო გუშინ დატოვა, საქართველოში 2009-2012 წლებში მოღვაწეობდა. ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდი საქართველოში აგვისტოში ჩამოვა.

ჯონ ბასის მიმართ ჩვენი ხელისუფლება ბოლო დროს კრიტიკულად განეწყო. რაც ელჩის დამსახურებაა. ბასს თავის მხრივ შემოეკრიტიკა ჩვენი ხელისუფლების რამდენიმე გადაწყვეტილება.

პირველი ხმაურიანი განცხადება ბასმა ვეტერანების აქციის დარბევის შემდეგ გააკეთა. ეს დარბევა 2011 წლის 3 იანვარს მოხდა.

აღშფოთება ბასმა 26 მაისის დარბევის დროსაც გამოხატა. ჯერ აქციის მონაწილეების ქმედებამ შეაშფოთა. მერე კი დარბევის გამო შეშფოთდა. იმის შემდეგ ბასი ბევრჯერ შეშფოთდა. მისმა შეშფოთებამ კი ხელისუფლება შეაშფოთა.

საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის პრესკონფერენციას, რომელიც ელჩმა რამდენიმე კვირის წინ გამართა. ითქვა, რომ ეს პრესკონფერენცია არჩევნებს უკავშირდებოდა. შესაბამისად მის მიმართ დიდი იყო ინტერესი. თუმცა იმ დღეს ბასს სკანდალური არაფერი უთქვამს.



მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საქართველოში არ უჭერს მხარს კონკრეტულ პირს, ან კონკრეტულ პარტიას.

ელჩის თქმით, ის დახმარების პროგრამები, რომელსაც საქართველოში ამერიკის მთავრობა ახორციელებს, მიმართულია საქართველოს მოსახლეობის დასახმარებლად, დემოკრატიული კულტურის გასაღრმავებლად, ასევე საქართველოს მოსახლეობისთვის შესაძლებლობის მისაცემად, რომ თვითონ უკეთ შეძლონ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება და წარმართვა. ამასთანავე, ელჩის თქმით, ეს პროგრამები ხორციელდება იმ სულისკვეთებით, რომ საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ თვითონ აირჩიონ საქართველოს მომავალი.

– მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომელიც საქართველოს საარჩევნო ციკლის წინაშე დგას, არის საქართველოს მოქალაქეების შეხედულებაში დემოკრატიული პროცესებისადმი და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის ამაღლება. ამ კუთხით, არჩევნებში ჩართულმა ყველა მოქმედმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უმნიშვნელოვანესია ის შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს ინსტიტუტებისა და პროცესების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით ექმნებათ. ეს გახლვთ ყველას პასუხისმგებლობა, რომ მოხდეს ამის გათვალისწინება, რაც კონკრეტული საარჩევნო პირადი მიზნების განხორციელებას აღემატება, – განაცხადა ბასმა.

მისი თქმით, ამერიკა სწორედ ამ სულისკვეთებით ხელს უწყობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. ჯონ ბასი ამბობს, რომ ამერიკა დაეხმარება საქართველოში გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიების მუშაობას, რასაც როგორც ენ-დი-აი, ასევე აი-რა-ი აწარმოებს.

ელჩმა ამ ორგანიზაციების სადამკვირვებლო მისიების ხელმძღვანელები წარადგინა და აღნიშნა, რომ ამერიკა მხარს უჭერს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვებას, რაც არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთელს საქართველოში განხორციელდება. ენ-დი-აი-ს საქართველოში წარმოადგენს კენტ ვოლკი, აი-რა-ის კი ანდრეა კირბი.

იმ პრესკონფერენციაზე ბასმა ქალებზე გაამახვილა დიდი ყურადღება. მისი თქმით, საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში ქალების პროცენტი ძალიან დაბალია და აქვე ჰილარი კლინტონის სიტყვები მოიშველია.

– როგორც არაერთხელ უთქვამს ჩემს უფროსს, სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონს, პოლიტიკა უკეთესად კეთდება მაშინ, როდესაც მასში საზოგადოებაში გავრცელებული ხედვისა და შეხედულებების ფართო სპექტრია წარმოდგენილი, მათ შორის უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ქალები, რომლებიც ამომრჩევლის 50%-ს წარმოადგენენ, – აღნიშნა ელჩმა.

ქალები მართლაც დადებით როლს თამაშობენ პოლიტიკაში. თუმცა ქალსაც გააჩნია. ბატონ ბასს დედალი-ზონდერები არ უნახავს, თორემ ამას არ იტყოდა.

ჯონ ბასს რიჩარდ ორლანდი შეცვლის. ის საქართველოში აგვისტოში ჩამოვა.

მამუკა გიორგაძე: „არ მინდა, ივანიშვილი ქდმ-სა და ნაციონალების გვერდით ვიხილო!“

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნული მოძრაობის წევრი და ყოფილი პარლამენტარი მამუკა გიორგაძე ბიძინა ივანიშვილს გარკვეულ რჩევებს აძლევს და მაზოხიზმის ნიშნებს ხედავს იმ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც ბოლო 7 წელია გრძელდება.

რამდენად წაადგება ივანიშვილს მის გვერდით მყოფი ექსპერტების რჩევები და რა მიმართულებით უნდა გააძლიეროს მან მუშაობა, თუ მართლა უნდა, რომ სააკაშვილის ტირანია დაამარცხოს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „საბალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.

– ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით ბოლო პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს, გორში მომხდარ ინციდენტებს და, საერთოდ, რაზე მიანიშნებს ხელისუფლების მსგავსი ნაბიჯები?

– რამდენიმე ასპექტზე მინდა გავამახვილო საზოგადოების ყურადღება. პირველი: ხელისუფლების შეფასებაა, რომელსაც სხვა არაფერი დარჩენია თავის არსენალში, თუ არა პროვოცირება და ხალხის დაშინება. ხელისუფლებას არასოდეს ჰქონია რაიმე საამაყო ხალხისათვის. ის მხოლოდ მოხოლოგშია ძლიერი. შესაბამისად, სპექტაკლებისა და შოუების დადგმა გამოსდის. მაგრამ საკმარისია, გაჩნდეს მეორე სუბიექტი, რომ თავის თავს რეალურად აჩვენებენ და არგუმენტად მხოლოდ ძალადობა შერჩებათ ხოლმე. მეორე ასპექტი, რომელზეც ყურადღება გავამახვილეთ და არის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე წინა ასპექტი: უკვე პრაქტიკულად მთელი 20-25 წლის განმავლობაში ერთი და იმავე მოვლენების წინაშე ვდგავართ სახელისუფლებო ცვლილებების დროს. წინა პლანზე გამოდის არა კონკრეტული იდეები, ღირებულებები, არამედ სრულიად აპოლიტიკური ქმედებები. სამწუხაროდ, მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვუჩვენებთ, რომ ჩვენ მართლაც საბჭოთა ჯურღმულიდან 20 წლის გამოსული ადამიანები ვართ, რომლებთანაც არ შეიძლება ცივილიზებული ურთიერთობა და არ შეიძლება ვისაუბროთ მაღალ პოლიტიკურ სტანდარტებზე. იგივე ჰილარი კლინტონის განცხადება – 20 წლის წინ დახურული სივრციდან გამოსულის კვალობაზე არაფერი გიშავთო, ამის ნათელი დადასტურებაა. აქცენტები არასწორად ისმის. ხდება საზოგადოების ეგზალტირება. შემდეგ ხდება ამ ეგზალტაციისა და სიძულვილის პოლარიზაცია. შემდგომ კი ისეთი შედეგი დადგება, როგორიც ამ სპექტაკლების დამდგმელებს აწყობთ.

– ანუ ამ არჩევნებზეც ის შედეგი დადგება, რომელიც მიშა მაჭავარიანმა გაახმაურა, ახალ პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“ და „ქდმ“ შევლენო?

– რა თქმა უნდა. აშკარად იკვეთება წინასწარ დადგმული სპექტაკლი. დღეს, პრაქტიკულად, იდეოლოგიური დაპირისპირება არ არის. დღეს არის მხოლოდ ხელოვნურად გამიჯნული ბრძოლის ფორმები. ხელისუფლების ქმედება გასაგებია, მას სხვა არგუმენტი და სხვა შესაძლებლობა არ აქვს. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ მიჰყვება ამ თამაშში „ქართული ოცნება“. გასაგებია, „გაერთიანებული ოპოზიცია“ რატომ მიჰყვებოდა ლევან გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით; ვნახეთ, ბურჯანაძის ხელმძღვანელობითაც რატომ მიჰყვებოდა, მაგრამ, ივანიშვილის ხელმძღვანელობით რატომ მიჰყვება, ჩემთვის გაუგებარია. ნამდვილად არ მინდა, ვიხილო ბიძინა ივანიშვილი ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების რანგში და იმ შედეგით, რომელიც მათ მიიღეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ჩემი ქვეყნისთვის იქნება ძალიან ცუდი. აქედან გამომდინარე, ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ ივანიშვილს თავისუფლად შეუძლია აირჩიოს უფრო ქმედითი ტაქტიკა და აჩვენოს ის მაღალი პოლიტიკური სტანდარტი, რომლითაც საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესდება და მათი მხრიდან იქნება რეალური მხარდაჭერა და არა ის, დავუშვათ, რაც მოხდა ბრიუსელში. თუ სააკაშვილს დავტოვებთ ასე მოქმედებებში, ბუნებრივია, დადგება ის შედეგი, რომელიც ბრიუსელში დადგა.

– თქვენი აზრით, რატომ მიჰყვება ივანიშვილის ხელისუფლების თამაშს, ივანიშვილი ჯერაც გამოუცდელი პოლიტიკოსია? მისი კოალიციის წევრები ხომ საკმაო დროა პოლიტიკაში არიან. ისინი არასწორი ნაბიჯებისკენ უბიძგებენ?

– კოალიციის წევრების უმეტესობა მსგავს ქმედებებში ხშირად იყო და მათ, როგორც ჩანს, ამოწურეს თავი და სხვა ქმედებები არ იციან. ამ პოლიტიკურმა პარტიებმა და ე.წ. ექსპერტებმა, რომლებიც ყოველთვის სხვას იყვნენ აკიდებული – ჟვანიას, სააკაშვილს, ბადრი პატარკაციშვილს, ლევან გაჩეჩილაძეს – ეს ხალხი არ შეცვლილა და მუდამ ასე იქცეოდა. ასე გვიმტკიცებდნენ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მერე, ჩვენ არ გვინდა აქციები, სასამართლოს გზით მოვუგებთ სააკაშვილსო. როცა სასამართლოზე დაგვიანებით შეიტანეს სარჩელები და ელემენტარული უცოდინრობა გამოამჟღავნეს, მაშინ მეორე ტური იქნება საპარლამენტო არჩევნებიო და, როგორც დასრულდა ეს არჩევნები, ყველამ კარგად ვიცით. ამ ექსპერტების ანალიტიკური მონაცემები ყველასთვის ცნობილია. მათ მიერ დაგეგმილი, შეფასებული და განხორციელებული ნაბიჯები ვიცით, როგორია. ამ ხალხს პერსონალურად არაფერი დაპკლებია – ძალიან კარგი შემოსავალი აქვთ, საზღვარგარეთ ვიზიტებში დადიან და კარგადაც ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მერე სააკაშვილი ჩვეულებრივ, რიგით ადამიანებს უსწორდება და ამათი ახირებები, ხუნტრუცი და უვიცობა შემდეგ აისახება ჩვეულებრივ მოსახლეობაზე, რომელსაც წაართვეს ბიზნესის უფლება, შემოქმედების და, საერთოდ, ადამიანის უფლებები და პრაქტიკულად აქციეს ხელისუფლების შემყურე უსახურ მასად. ეს ხალხი ყოველთვის ასე იქცეოდა. გადახედეთ ამ პარტიების და ამ ექსპერტების განცხადებებს თუნდაც ბოლო 7 წლის განმავლობაში და დამეთანხმებით, რომ იგივეა. მაგრამ ამას რატომ აკეთებს ივანიშვილი, დღეს ჩემთვის სრულიად გაუგებარია. პოლიტიკაში ახალი მოსული ვარო, არა მგონია, ეს სერიოზული არგუმენტი იყოს, რადგან 2003 წლიდან თვალყურს ადევნებს ამ პროცესებს, თვითონაც მონაწილეობდა და ის ხალხი მაინც უნდა იცოდეს, რომელიც მის გარშემოა. ასე რომ, მე ამ კითხვაზე დღეს პასუხი არ მაქვს. ვიმედოვნებ, დღეს თუ არა ხვალ ივანიშვილი შეძლებს ვითარების კარდინალურ შემობრუნებას.

– ივანიშვილმა კარგად უნდა გაანალიზოს, რაც ურჩევენ მას თანაგუნდელები, კოალიციაში შემავალი ლიდერები?

– თანაგუნდელები, ამ შემთხვევაში, არავის აინტერესებს. არც ის ექსპერტები და ის პარტიები აინტერესებს ვინმეს. მათ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია ხაზი გადასმული აქვთ. ყველას ამ შემთხვევაში აინტერესებთ არა მიზეზი და საბაბი, არამედ რეალური შედეგი. ამ შედეგზე პასუხისმგებელი კი მხოლოდ ერთი პირი – ბიძინა ივანიშვილია. მან ასე შესთავაზა თავისი თავი ქართველ საზოგადოებას. თავისთავად, ერთ კაცზე ამხელა პასუხისმგებლობის აღება, სიმართლე გითხრათ, არც პოლიტიკურად და არც მორალურად გამართლებული არ არის, მაგრამ ასე შესთავაზა თავისი თავი ქართველ საზოგადოებას. ამიტომ თვითონ არის პასუხისმგებელი ამ ქმედებებზე და მის გარშემო არსებული ზოგიერთი პარაზიტი კიდევ გააგრძელებს თავის პარაზიტულ ცხოვრებას. მაგრამ ქართველი ხალხი სწორედ ივანიშვილზე აკეთებს აქცენტს და ის ავანსი, რომელიც მის მხარდასაჭერად იყო გაწეული, ბუნებრივია, უნდა იყოს ანაზღაურებული და, შესაბამისად, ეს ქვეყანას უნდა დაეტყოს. თუ ეს ასე არ იქნება, ალბათ, ქვეყნისთვისაც და თითოეული ჩვენგანისთვისაც ძალიან მძიმე შედეგით დასრულდება. სწორედ ამიტომ მოვუწოდებ ივანიშვილს, გადახედოს მსოფლიო ბრძოლის პრაქტიკას ტირანიის წინააღმდეგ და ამ ცოდნით აღჭურვილმა გადადგას ის ნაბიჯები, რომლებიც მისი მხრიდან არის გადასადგმელი.

– თქვენ ახსენეთ ივანიშვილის მიერ თავის თავზე აღებული პასუხისმგებლობა. მან ასევე თქვა, რომ აუცილებლად მოვა უმრავლესობით ახალ პარლამენტში, რაშიც ეჭვი არც გაეროში მომუშავე სალომე ზურაბიშვილს ეპარება. ზურაბიშვილმა ევროპარლამენტში დაფიქსირებული პოზიცია ოლიგარქი ივანიშვილის მიმართ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თქვენ რას იტყვით?

გაგრძელება მე-6 გვერდზე

საპარლამენტო არჩევნების გაშუქების მედიამონიტორინგი

ნინო ცაგარეიშვილი

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა ცენტრი წინასაარჩევნო პერიოდში ახორციელებს საპარლამენტო არჩევნების გაშუქების მედიამონიტორინგის პროექტს. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდებიან შემდეგ ტელეარხებზე გასულ ფარულ პოლიტიკურ, სოციალურ და ფასიან პოლიტიკურ რეკლამებს: საზოგადოებრივი მაუწყებელი, „იმედი“, „რუსთავი 2“, „კავკასია“, „მაესტრო“ და „მე-9 არხი“.

მედიამონიტორინგის მიზანია, გამოავლინოს მედიის მიერ საარჩევნო კამპანიის გაშუქების ტენდენციები და შეიმუშაოს რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოქმედი რედაქცია არ შეიცავს ფარული პოლიტიკური რეკლამის დეფინიციას. რეკლამის შესახებ კანონში, მაუწყებლობის შესახებ კანონსა და საარჩევნო კოდექსში არსებული რეგულაციები კი ფარული პოლიტიკური რეკლამის აღსაკვეთად არასაკმარისია.

ფარული პოლიტიკური რეკლამის საკითხებს ეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვის 1999 წელს მიღებული რეკომენდაციები მედიის მიერ საარჩევნო კამპანიის გაშუქებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაციების თანახმად, საარჩევნო პერიოდში საჯარო და კერძო მაუწყებლებმა უნდა უზრუნველყონ სამართლიანი, მიუკერძოებელი და დაბალანსებული გაშუქება ახალი ამბებისა და მსგავსი ტიპის პროგრამებში, ასევე - დისკუსიებში, ინტერვიუებსა და დებატებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი კანდიდატების გაშუქების საკითხი, რომელთაც უკავიათ საჯარო თანამდებობები. რეკომენდაციების თანახმად, დაუშვებელია ასეთი პირების ოფიციალური ფუნქციების პრივილეგირებული და ექსესიური (გადაჭარბებული) გაშუქება.

ცალკე თავი ეთმობა გასართობი ხასიათის პროგრამების გაშუქების საკითხს. რეკომენდაციის თანახმად, მაუწყებლები უნდა მოერიდონ წინასაარჩევნო პერიოდში გასართობ პროგრამებსა და მსგავს თოქ-შოუებში პოლიტიკოსების მოწვევას, რადგანაც შერჩევითი მოწვევა უსამართლო უპირატესობას მიანიჭებს კონკრეტულ კანდიდატსა თუ პოლიტიკურ პარტიას. რეკომენდაციები ყურადღებას ამახვილებს ასევე პაროდიულ პროგრამებში კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტისადმი უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობაზე.

მინისტრთა კომიტეტი აცხადებს, რომ აღნიშნული პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, მაუწყებელთა თვითრეგულირების გზით უნდა იყოს დარეგულირებული. თუ თვითრეგულირების მექანიზმი ამ პრინციპებს არ ითვალისწინებს, კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ასახონ ისინი შესაბამის საკანონმდებლო ნორმებში.

„საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომელიც ქართული ტელეარხებისათვის სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენს და მათი თვითრეგულირების გზით დაცვის შესაძლებლობას ქმნის, ზემოაღნიშნულ პრინციპებს არ

ითვალისწინებს.

რეგულაციები ფარული პოლიტიკური რეკლამის აღსაკვეთად არ გვხვდება არც საქართველოს საკანონმდებლო აქტებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები ფარული პოლიტიკური რეკლამის გამოსავლენად არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია „ეს შენ გეხებას“ მიერ შემუშავებული დეფინიციას გამოიყენებენ.

რაც შეეხება სოციალური რეკლამის არსებულ განმარტებას, იგი არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც გამორიცხავდა მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სოციალური რეკლამა არ უნდა შეიცავდეს „კერძო სამართლის იურიდიული პირის ან სამთავრობო დაწესებულების, აგრეთვე, მათ მიერ გაწეული მომსახურების რეკლამას“. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა სამთავრობო დაწესებულებებში არ მოიაზრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ ან კანონის საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და საჯარო საქმიანობას ახორციელებენ. შესაბამისად, მათზე აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2012 წლის თებერვალში ჩატარებული კვლევის თანახმად, სოციალური რეკლამის განმარტების ფარგლებს აშკარად სცდება სოციალური რეკლამის სახით გასული ისეთი ვიდეო რგოლები, როგორიცაა, პენსიის გაზრდასთან დაკავშირებული რეკლამა, განათლების რეფორმასთან დაკავშირებული რეკლამა, „ვარდების რევოლუცია - 8 წელი“, „ჩვენ ვაშენებთ სახლს“ და „მე მიყვარს თბილისი“. ორგანიზაცია აცხადებს, რომ პენსიის გაზრდასთან დაკავშირებული რეკლამა ძალიან ჰგავს წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამას, რომელშიც ქვეყნის პრეზიდენტი პენსიის გაზრდის დაპირებებს იძლევა. რაც შეეხება განათლების რეფორმასთან დაკავშირებულ და ვარდების რევოლუციის მე-8 წლისთავის შესახებ რეკლამებს, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ რადგანაც ვიდეო-რგოლი მოგვითხრობს საქართველოს მთავრობის წარსულ მიღწევებსა და გაწეულ მომსახურებაზე, ისინი აშკარად სცდებიან სოციალური რეკლამის დეფინიციის ფარგლებს.

რაც შეეხება სოციალურ რეკლამებს „ჩვენ ვაშენებთ სახლს“ და „მე მიყვარს თბილისი,“ ორგანიზაცია აცხადებს, რომ, მართალია, ამ რეკლამებში პირდაპირ არ ხდება საქართველოს მთავრობის ან სხვა საჯარო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურების რეკლამირება, თუმცა გამოყენებული კადრები და სიმღერის ზოგიერთი ფრაზა აშკარად მიუთითებს მოქმედ ხელისუფლებასთან დაკავშირებულ მიღწევებზე. შესაბამისად, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ „საზოგადოებრივი სიკეთის ხელშეწყობისა და საქველმოქმედო მიზნების მიღწევისაკენ მიმართული რეკლამის“ კატეგორიისადმი მათი მიკუთვნება საკმაოდ რთულია.

რეკლამის კიდევ ერთი სახეს, რომელსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდებიან, ფასიანი პოლიტიკური რეკლამა წარმოადგენს, რომელზეც მონიტორინგი უშუალოდ საარჩევნო პერიოდში განხორციელდება. მონიტორინგის პირველი ეტაპის შედეგები ივლისის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

INTERNATIONAL FOUNDATION FOR ELECTORAL SYSTEMS IFES SINCE 1987

ეს სტატია შექმნილია ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და იგი არ ასახავს IFES-ის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

პენსიონერებს სადაზღვევო პოლისებს დაურიგებენ

ნათია ხურცილავა

საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. ამის შესახებ განცხადება პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ტარიელიანი ბრიფინგზე გააკეთა.

– რაც შეეხება არჩევნების თარიღს, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ პრეზიდენტმა უკვე ხელი მოაწერა მასთ-ქერის ამოქმედებას.

პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტმა უკვე ხელი მოაწერა საქართველოს ორგანულ კანონს საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმადაც, მაუწყებლობის ტრანზიტის ავტორიზებულ პირს ეკისრება ვალდებულება, მომხმარებელს შესთავაზოს ყველა ლიცენზირებული საერთო მაუწყებლის მაუწყებლობა, რომლის ხელმისაწვდომობაც აქვს საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20 პროცენტს. აღნიშნული კანონი ძალაში შევა პრეზიდენტის მიერ არჩევნების გამოცხადების დღიდან და იმოქმედებს არჩევნების დღემდე. პრეზიდენტის პრესსპიკერმა ასევე ისაუბრა უწმინდესის ინიციატივაზე, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს ეხება. პრეზიდენტი მიესალმება და იზიარებს იმ პოზიციას, რომელიც ქართულ ეკლესიას და უპირველეს ყოვლისა, მის უწმინდესობას ილია მეორეს გააჩნია მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, – ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანჯგალაძემ ბრიფინგზე განაცხადა.



მანჯგალაძის განცხადებით, ხელისუფლების ამოცანაა, უზრუნველყოს არჩევნების ღირსეულად ჩატარება სამართლიანობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვით. – ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ინიციატივა, რომლითაც „ნაციონალური მოძრაობა“ გამოვიდა. ინიციატივა ყველა პოლიტიკურ სუბიექტს უწესებს თამაშის წესებს და თანაბარ პირობებს სთავაზობს საარჩევნო კამპანიის პერიოდში. მოხარულები ვართ, რომ პარტიების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თანხმობა განაცხადა, შეუერთდეს „ნაციონალური მოძრაობის“ დეკლარაციას, – განაცხადა მანჯგალაძემ.

პრეზიდენტის პრესსპიკერს ენდიაის შედეგების კომენტირებაც სთხოვეს ჟურნალისტებმა, მაგრამ მანჯგალაძის განცხადებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ენდიაის კვლევის შედეგებთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს.

– ენდიაიმ გამოაქვეყნა კვლევები პოლიტიკური პარტიების რეიტინგებთან დაკავშირებით. ამაზე კომენტარს არ გავაკეთებთ. თუმცა მიგვაჩნია, რომ ის მხარდაჭერა, რომელიც აქვს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიას, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს პასუხიმგებლობას, რომელიც მმართველ პარტიას ხალხის წინაშე აქვს. ამიტომ ჩვენი ამოცანაა, აქტიურად ვიმუშაოთ უმუშევრობის დაძლევის პრობლემის კუთხით, უფრო ხელმისაწვდომი გავხადოთ ჯანდაცვა და დავეხმაროთ ქართულ სოფლებს, – განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

მანანა მანჯგალაძის თქმით, რომ სწორედ მთავრობის ამ გეგმის ნაწილია პროცესი, რომელიც გუშინ დაიწყო.

კერძოდ, საქართველოში ყველა პენსიონერი და ექვს წლამდე ასაკის ბავშვი ჯანდაცვის პოლისს მიიღებს.

– ამასთან, საინტერესოა ის ინიციატივა, რომელზეც პრეზიდენტმა ისაუბრა – ხელშეკრულება საქართველოსთან. ეს არის ფორმატი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ მივალთ თითოეულ ოჯახში, რათა გავაცნოთ და შევასრულოთ ყველა დანაპირები, რომელიც ახალმა მთავრობამ მისცა საზოგადოებას, – განაცხადა მანჯგალაძემ.

თბილისი რუსი გენერლის თავხედობამ აღაშფოთა

ნათია ხურცილავა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდლის გენერალ-პოლკოვნიკის ვლადიმერ ჩირკინის ჩასვლასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. სამინისტროს განცხადების მიხედვით, მიმდინარე წლის 11 და 13 ივლისს რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმერ ჩირკინი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევით ჩავიდა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში – ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, სადაც „ინსპექტირების“ მიზნით რუსეთის საოკუპაციო ძალების ე.წ. ბაზები მოინახულა და შეხვედრები გამართა საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებთან.

– რუსეთი განაგრძობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ინტენსიურ მილიტარიზაციას, იქ განლაგებული საოკუპაციო ძალების გადაიარაღებას უახლესი სამხედრო ტექნიკით, მათ შორის შეტევითი სარაკეტო შეიარაღების განლაგებას და დამრტყმელი სამხედრო დაჯგუფებების ფორმირებას. ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული 2008 წლის სცენარით მიმდინარე გამუდმებული სამხედრო წრთვნები როგორც ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მთელ პერიმეტრზე და 2012 წლის სექტემბერში დაგეგმილი სტრატეგიული სამხედრო სწავლები „კავკასია-2012“, რითაც რუსეთი უშუალო სამხედრო საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას საქართველოსა და მთლიანად შავი ზღვის რეგიონში, – აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის სათავეში მყოფ რეჟიმს არაფერი არა აქვს შესათავაზებელი კავკასიისათვის გარდა კრიმინალურ-მაფიოზური მმართველობისა და მილიტარიზაციისა.

– ეს რეალობა სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს კავკასიის სახელმწიფოებისათვის, კავკასიის ხალხებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის, – აღნიშნულია განცხადებაში. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ „იდიოტური“ უწოდა უცხოელი მოქალაქეების დევნას იმის გამო, რომ ისინი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე სტუმრობდნენ.

ამის შესახებ მან „ეხო მოსკვისთან“ ინტერვიუში განაცხადა. აღნიშნული პრაქტიკის გასამართლებლად ვაშაძემ განაცხადა, რომ „კანონი უხეშია, თუმცა ეს მაინც კანონია“.

საქართველოს პირველმა დიპლომატმა ასევე აღნიშნა, რომ რუსებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ამ კანონს გვერდი აუარონ: არ დააფიქსირონ თავიანთ პასპორტში აფხაზეთში სტუმრობა. თუმცა, შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ აღნიშნულ სიტუაციაზე კრიტიკული კომენტარი გააკეთა.

– ჩვენ იძულებულები ვართ, იმის მაგივრად, რომ ყველას მივესალმოთ გულგახსნილობით, დავკავდეთ ამ იდიოტიზმით, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.

პრესაში აქტუალურია საკითხი საქართველოს გავლით რუსეთ-სომხეთის სარკინიგზო ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით.

ამ საკითხზე ცოტა ხნის წინ გრიგოლ ვაშაძემ „ეხო მოსკვი“-სთან ისაუბრა.

გრიგოლ ვაშაძე აცხადებს, რომ „საქართველოს გავლით რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის უპირველესი მიზანი ქალაქ გიუმრში რუსეთის სამხედრო ბაზების მომარაგებაა“, – აღნიშნავს ვაშაძე. პოლიტოლოგი სერგეი მინასიანი აცხადებს, რომ საქართველოს გავლით რუსეთ-სომხეთის სარკინიგზო ხაზის არსებობის საკითხი ბუნდოვანია, რომელიც მან გამოთქვა სომხურ გამოცემა ნიუს. ამ-თნას. ინტერვიუში.

მისი სიტყვებით, საქართველო თავად მოლაპარაკებების პროცესით არის დაინტერესებული, ხოლო რამდენად დათანხმდება ის რაიმე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას, ეს დიდი და რთული მოლაპარაკებების საკითხია. მინასიანმა აღნიშნა, რომ პირველი შეხვედრები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ რობერტ ქოჩარიანსა და ედუარდ შევარდნაძეს შორის გაიმართა, თუმცა მაშინ რაიმე კონკრეტული შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა.

რა შეიძლება აღნიშნული პროექტის სანაცვლოდ მიიღოს საქართველომ? და რამდენად უღირს საქართველოს ასეთ ღია ვაბანკზე წასვლა, მით უფრო მას შემდეგ, რაც მინისტრმა აღნიშნა, რომ გასაგებია რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს ახალ სარკინიგზო მაგისტრალს.

– შესაძლოა ასეთი მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობდეს. ამაზე მეტყველებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ინტერვიუ, რომელიც მან სომხეთში ვიზიტის წინა დღეს მისცა მათ. ინტერვიუში ვაშაძემ ნეგატიურად ისაუბრა პროექტის შესახებ, რითაც ქართული მხარის პოზიცია გამოხატა,“ – აცხადებს მინასიანი.

პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული სპეციფიკური ურთიერთობების კონტექსტში, აღნიშნული პროექტი კიდევ უფრო გამჭვირვალეა, თუ გავითვალისწინებთ საქართველო-აზერბაიჯანის სარკინიგზო ხაზსა და საქართველოში არსებულ საზღვაო პორტებს.

– მით უმეტეს, რომ აღნიშნულ საკითხს საქართველოს თვალში მკვეთრი პოლიტიკური შეფერილობა აქვს, – აღნიშნა კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ უკანასკნელ პერიოდში მედიაში გააქტიურდა საქართველოს გავლით რუსეთ-სომხეთის სარკინიგზო ხაზის პროექტის თემა. სომხეთში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის სამუშაო ვიზიტსაც სწორედ აღნიშნულ ფაქტს უკავშირებენ.

მამუკა გიორგაძე: „არ მინდა, ივანიშვილი ქდმ-სა და ნაციონალების გვერდით ვიხილო!“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

– ჩვენ რატომღაც გვიკვირს და გვგონია, შედეგი, რომელიც ევროპარლამენტში დადგა, არაბუნებრივია. ძალიან ბუნებრივი შედეგია, რატომ გვიკვირს? ვინმემ იმუშავა ევროპის სახალხო პარტიასთან ან ევროპელ დემოკრატებთან? ვინმემ იმუშავა ევროპარლამენტის ყველაზე დიდ ჯგუფთან? ვინმემ ჩაიტანა აქედან ობიექტური ინფორმაცია, სააკაშვილი რა ქმედებებს ახორციელებს პოლიტიკური კუთხით, არა ჰუმანიტარული კუთხით? იყო საუბარი მის ფლირტზე რუსეთის ხელისუფლებასთან?! ეს ინფორმაცია რომ ჩასულიყო იგივე ლანცბერგისთან, არა მგონია, მას ასეთი განცხადებები გაეკეთებინა. პირიქით, ხელისუფლებიდან თუ ოპოზიციიდან, არასამთავრობო სექტორიდან თუ პრესიდან ეს ადამიანები იღებენ იმ ინფორმაციას, რომელიც სრულიად საკმარისია იმ დასკვნების გასაკეთებლად, რაც მოვისმინეთ. ლანცბერგისის გამოსვლა, პრაქტიკულად, არის ქართული პრესის სათაურების გამეორება. როცა ქართულ ოპოზიციურ პრესაში იბეჭდება მასალები სააკაშვილის სომხობასთან დაკავშირებით, დედამისის პიკანტური ცხოვრების დეტალებზე, სხვადასხვა ისეთ თემაზე იბეჭდება სტატიები, რომელიც ადამიანმა არ უნდა იკადროს პოლიტიკურ ბრძოლაში და ხდება ამის ტირაჟირება და ამაზე პრეზიდენტი არ რეაგირებს, შემდეგ ჩვენ გვინდა, ევროპას დავუმტკიცოთ, რომ სააკაშვილი დიქტატორია?! პირიქით, ეს სათაურები, ამ პოლიტიკოსების განცხადებები სწორედ სააკაშვილს ეხმარება, რომელიც ამ გამონათქვამებს მთელ ევროპაში აფრიალებს და ეუბნება, შეხედეთ, როგორი ოპოზიცია მყავს – ეს ოპოზიცია ვერ იტანს მეზობლებს, ურთიერთობებს, თავისუფალ ზარს და ვერ იტანს გამოხატვის თავისუფლებას. ამ ადამიანებთან, გარკვეულწილად, ავტოკრატიისთვის დამახასიათებელი ქმედებებიც არის საჭირო და კეთილი ინებეთ, თვალი დახუჭეთ ამ ქმედებებზე; როგორც თავის დროზე ათათურქმა შეძლო და შემოაბრუნა შუასაუკუნოვანი ოსმალეთის იმპერია დემოკრატიული ევროპული ღირებულებისაკენ, მეც ასე უნდა გავაკეთოო. გახსოვთ, მის მიერ საკუთარი თავის შედარებები ათათურქთან მიმართებით. ევროპისთვის გარკვეულწილად ეს ყოველივე გასაგებია. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენი ვიქცევით არასწორად, არ ჩავდივართ და არ ვეუბნებით, ელემენტარულად, სააკაშვილის პრორუსულ ქმედებებზე, სააკაშვილის მიმართებაზე ისლამურ ექსტრემიზმთან. ამის მაგივრად გაზეთები აჭრელებულია – სააკაშვილი ერთადერთი დასაყრდენი ამერიკისა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რეგიონში. ჩვენვე ვუწყობთ ხელს ამ ყველაფერს. არ ვიცი, ეს უცოდინრობით ხდება თუ შეგნებულად და სააკაშვილისგან არის მართული. თუმცა, მე მეორე მოსაზრებას უფრო ვენდობი. ამ განცხადებებისა და ამ გაზეთების ტირაჟირებას ხელს სააკაშვილი უწყობს. ამიტომ, როდესაც დასავლეთზე ვსაუბრობთ, აღშფოთება კი არ არის საჭირო, არამედ დაჯდომა და ყოველდღიური მუშაობა. ელემენტარულად, მათ თუ არ იციან მისამართები და არ იცნობენ პიროვნებებს, „სახალხო პარტიას“ შეუძლია, ეს სამსახური გაუწიოს და მიაწოდოს ინფორმაცია, ვის რა თემაზე ელაპარაკონ. ჩვენ ამისთვის მზად ვართ და ამაში არც არაფერს ვითხოვთ, ოღონდ საქართველოს საქმე გაკეთდეს. მაგრამ, თუ არ იღებ ამ მომსახურებას და შენი არ იცი, უკვე შეგნებული სახელმწიფოებრივი დანაშაულია, იმიტომ რომ თუნდაც იმ ბრძოლაში, რომელსაც საგარეო დახმარება ჰქვია, ქართველ ხალხს ასეთი დახმარება მოუსპო, დანაშაულია. და აი, ამ პარტიებმა, რომლებიც ამ ვიზიტებში ათიათასობით დოლარს ხარჯავენ, პრაქტიკულად, ქართველ ხალხს ასეთი დახმარება მოუსპეს ცივილიზებული სამყაროსაგან. სწორედ ეს არის პრობლემა. თუ გვინდა, თავი მოვიტყუოთ და ვთქვათ, რა კარგები ვართ და დასავლეთი ვერ გვიგებს, ეს უკვე მაზოხიზმია. სამწუხაროდ, ამ 7 წლის განმავლობაში რაღაც მაზოხისტურ ელემენტებს უკვე ვხვდებით ქართულ პოლიტიკაში. ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა. დარღვეულია ყველა პოლიტიკური ბრძოლის კანონი, რომლებიც მსოფლიომ დააგროვა ტირანიასთან ბრძოლაში და მერე გვიკვირს, რატომ ვერ ვიმარჯვებთ. ქვეყნისთვის ბრძოლის საქმეს თუ ბიზნესად აქცევ, ბუნებრივია, შედეგი არ დადგება.

– ანუ ამ ეტაპზე პოლიტიკურ ბრძოლაში ხელისუფლება უგებს ივანიშვილს?

– რა თქმა უნდა. ინიციატივა ხელისუფლების ხელშია, დიდ აქციებს წინააღმდეგობას არ უწევს, მაგრამ ადგილებზე, პრაქტიკულად, არ აძლევს ოპოზიციას საშუალებას, რეალური ნაბიჯები გადადგას. ოპოზიცია თვითონ არ იღებს თავის თავზე ამ მნიშვნელოვან ფუნქციას და გართულია ვირტუალური ბრძოლით, რომელიც იყო 2005-დან 2012 წლამდე. თითქოს არ გადიან კანონის სივრცედან, თითქოს ყველაფერს აკეთებენ, რომ სამართლებრივი ბრძოლის რეჟიმში იყვნენ და შემდეგ მაზოხისტური ტკბობით ჩვენ, ქართველ ხალხს, გვეუბნებიან, ხელისუფლება ამას კადრულობს და ა.შ. ტირანი იკადრებს, აბა, რას იზამს?! ჩაგისაფრებს ხალხს შეხვედრაზე და იმ კანონს მიიღებს, რომელიც მას აწყობს. აბა, ტირანი სხვაგვარად როგორ მოიქცევა.

ფიქრია ჩიხრაძე თელავში იყრის კენჭს

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე დავით გამყრელიძე მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატების დასახელებას განაგრძობს.

„ახლების“ ლიდერმა გუშინ კახელებს წარუდგინა მათი მაჟორიტარობის კანდიდატები. გამყრელიძემ გუშინ თელავში კახეთის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დაასახელა.

თელავში „ახალმა მემარჯვენეებმა“ თავიანთი ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკური ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე წარადგინეს.

ფიქრია ჩიხრაძე ერთხელ უკვე იყო თელავის მაჟორიტარი კანდიდატი. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სწორედ თელავში იყრიდა კენჭს ჩიხრაძე. „ნაციონალური მოძრაობიდან“ მას კონკურენციას აწევს განსვენებული გია არსენიშვილი უნევდა. თელავის მაჟორიტარი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე არსენიშვილი გახდა. დავით გამყრელიძის განცხადებით, ფიქრია ჩიხრაძისთვის თელავიც და თელაველებიც ძალიან ახლობელია.

– ფიქრია კარგად იცნობს თელავს, რადგან 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც აქ იყრიდა კენჭს. მას ძალიან უყვარს თელავი და ვგრძნობ, რომ თელაველებსაც უყვართ და პატივს სცემენ ფიქრიას, – განაცხადა დავით გამყრელიძემ. კახეთის დანარჩენ რაიონებში დავით გამყრელიძემ „ახალი მემარჯვენეების“ ადგილობრივი პარტიული ლიდერები წარადგინა.

გურჯაანში „ახალი მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიგა იმერლიშვილი იქნება, რომელიც პარტიის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელია.

– გიგი ჩემი კოლეგაა, ექიმია, მაგრამ ამავე დროს აქვს სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება, – განაცხადა დავით გამყრელიძემ მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენისას.

ყვარლელებს დავით გამყრელიძემ ყვარლის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის, „ახალი მემარჯვენეების“ ყვარლის ორგანიზაციის თავმჯდომარის ნუგზარ ლინიაშვილის კანდიდატურა წარადგინა.

რაც შეეხება დედოფლისწყაროს, ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე სოსო ბეჟანიშვილი იქნება კანდიდატი.

ლაგოდეხში „მემარჯვენეებს“ ზურაბ ჯაფარიძე წარმოადგენს, რომელიც 2002 წლიდან არის პარტიის წევრი და რაიონის სხვადასხვა სამსახურებში მუშაობის სერიოზული გამოცდილება აქვს.

„მემარჯვენეების“ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, მალხაზ ხუციშვილი იქნება პარტიის დეპუტატობის კანდიდატი სიღნაღში.

მალხაზ ხუციშვილი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელია, იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, არის ჩრდილოატლანტიკური ასოციაციის საქართველოს ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

რაც შეეხება ახმეტას და საგარეჯოს, აქ „მემარჯვენეებს“ ზურაბ არაბული და დავით მაისურაძე წარმოადგენენ, რომლებიც ამავე რაიონების პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები არიან, მუშაობდნენ რაიონულ სამსახურებში და კარგად იცნობენ მოსახლეობის პრობლემებს, როგორც მათი დახასიათებისას განაცხადა „ახლების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

ზონდერებსა და ყარყარაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა



თავდაცვის ყოფილი მინისტრი გია ყარყარაშვილი ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასულ სიუჟეტს გამოეხმაურა. ტელეკომპანია „იმედის“ ცნობით, ყარყარაშვილმა გორელ ლეტხებს ვაშლის გამყიდველებმა უწოდა. ამის საილუსტრაციოდ სიუჟეტის ავტორს მეორე არხის ეთერში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ნათქვამი ფრაზა მოჰყავს. ყარყარაშვილმა მომდევნო დღეს გორში განმარტა, რომ მისთვის მიუღებელია ვაშლის ძირში გაზრდილი და ვაშლის გამყიდველისგან იმის მოსმენა, რომ ყარყარაშვილი ... ესეთის აგენტია. ესენი მხოლოდ ერთეულები არიანო.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი გთავაზობთ გორის რაიონის სოფლებში და ვერხვების დევნილთა ჩასახლებაში ყარყარაშვილის შეხვედრების ამსახველ ვიდეო მასალას. ვიდეო-მასალაში ნახავთ იმ პიროვნებებს (მერეთში და ვერხვების დასახლებაში), რომლებიც თავდაცვის ყოფილ მინისტრს გარკვეულ პრეტენზიებს უყენებენ.

განსაკუთრებით, საინტერესოა, ვერხვების დასახლების მამასახლისის ვანო მიდოდაშვილისა და გია ყარყარაშვილის საუბარი. მიდოდაშვილისა და ყარყარაშვილის საუბარმა „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს შორის დაძაბულობა გამოიწვია. მიდოდაშვილი ცდილობდა ყარყარაშვილს ეტლს ხელით შეხებოდა. გია ყარყარაშვილმა ვანო მიდოდაშვილს 20 წლის წინ ერედვში გაშლილი სუფრა შეახსენა. მე პატარა ვიყავი მაშინო, უპასუხა მამასახლისმა. ერთ-ერთი კოტეჯის მცხოვრებმა აივნიდან გადასძახა ყარყარაშვილს, როგორ იყო ხეითის გზაზე რუსებს რომ ბეტეერი წაართვითო? „მერე მოუყევით ეს ყველაფერი შვილებს“ – უპასუხა ყარყარაშვილმა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი

ქდმ-ს ლიდერები ეუთოს უმაღლეს კომისარს შეხვდნენ

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერები მაგდა ანიკაშვილი და გიორგი რუხაძე ეუთოს უმაღლეს კომისარს, ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებეკს შეხვდნენ.

პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა, მხარეებმა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების პრობლემები, წინსაარჩევნო გარემო და ამ პროცესში ეუთოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიების როლი განიხილეს.

„ქრისტიან-დემოკრატებმა“ ვოლებეკს პარტიის საარჩევნო პროგრამა გააცნეს, მათ შორის პარტიის ხედვა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით.

„ქრისტიან-დემოკრატები ვართ ერთადერთი პარტია საქართველოში, რომელიც საკუთარ გაზეთს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოსცემს, რაც პირდაპირი მანიშნებელია იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეროვნული უმცირესობების აქტიური ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც კონსერვატიული იდეოლგიის მქონე პოლიტიკური ძალა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ და განვავითაროთ არა მხოლოდ ქართული, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა“, – განაცხადა გიორგი რუხაძემ.

ინტერპრესნიუსი

18 ივლისს ცხინვალს ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები ეწვევიან

პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენელის, მურატ ჯიოევის ცნობით, 18 ივლისს ცხინვალს ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები ეწვევიან.

ოსური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ჯიოევმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დეფაქტო პრეზიდენტ, ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრაზე განაცხადა.

მათივე ცნობით, თიბილოვმა და ჯიოევმა შეხვედრაზე სოფელ ზარდიანთკარში ქართული საგუშაგოს გახსნაზე ისაუბრეს.

როგორც ჯიოევმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით ვითარება უცვლელია და „საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს საგუშაგო ადგილობრივი მოსახლეობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“.

მისივე თქმით, 18 ივლისს ცხინვალში დაგეგმილ ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების ვიზიტის ფარგლებში შეხვედრაზე ერთ-ერთ მთავარ თემად აღნიშნული საგუშაგოს საკითხს განიხილავენ.

მედიანიუსი

ბაქოში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

ბაქოში კრიმინალური ავტორიტეტი კობა კვახაძე დააკავეს, — იუწყება „ნოვოსტი-აზერბაიჯანი“ სამართალდამცავი ორგანოებზე დაყრდნობით.

წყაროს ცნობით, მისი მეტსახელია „კობა გრუზინსკი“. მას საცხოვრებელი სახლების ძარცვაში ადანაშაულებენ. გარდა ამისა, ჩხრეკისას ჰეროინიც აღმოაჩინეს. საქართველოს მოქალაქეობის მქონე კვახაძე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე 2011 წლიდან იძებნება.

სააგენტოს ინფორმაციით, დაპატიმრებულმა 12 ძარცვა უკვე აღიარა. მისი ნაძარცვი ოქროს ნაკეთობები და ათობით ათასი მანათი იყო (ერთი მანათი დაახლოებით ერთი ევროს ეკვივალენტია). კობა კვახაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული. გამოძიება გრძელდება.

მედიანიუსი

გელა ნიკოლეიშვილი: „ხელისუფლება არც ქვის სროლას მოერიდება და არც თოფისას“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილთან



– ბატონო გელა, ხელისუფლებამ სანქციები ტელეკომპანია „მაესტროს“ წინააღმდეგაც გამოიყენა. თქვენი აზრით, რა იყო ხელისუფლების ჩანაფიქრი?

– „მაესტროს“ მიმართ ხელისუფლების მოქმედება ერთ გენერალურ ხაზს მიჰყვება. მათთვის მთავარია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დატოვოს საინფორმაციო ვაკუუმში და დღეს-დღეობით ამას ახერხებს, ვინაიდან ის პროგრამა, რომელიც მან დასახა წინასაარჩევნოდ და რომელსაც დაარქვა „მეტი სარგებელი ხალხს“ და თვითონაც კარგად იცის, რომ ეს არის რეალურად „მეტი სატყუარა ხალხს“. მათი მიზანია, რომ ხალხმა არ გაიგოს, ეს არის სატყუარა და არა სარგებელი. შემთხვევითი არ არის, რომ ამას მეტი სატყუარა ჰქვია, იმიტომ რომ წინა არჩევნების დროს უამრავი აუსრულებელი დაპირება გასცეს. ცალკე ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე, ცალკე ასდოლარიანი პენსია, ასევე საქმე ლაპარაკის ნაცვლად და რომელი ერთი გავიხსენო. თითოეული საარჩევნო კამპანიის დროს თითო ახალი ლოზუნგი ჰქონდათ, რომლებიც სატყუარებად იქცა, რადგან ამით ხალხი მოტყუვდა. დღეს მათ ყველა სატყუარა ერთად შეკრიბეს და ამას დავარქვათ მეტი სატყუარა ხალხს. რადგან ეს სატყუარაა, ხალხს არ უნდა ჰქონდეს ობიექტურად განსჯის საშუალება, ხალხი უნდა დარჩეს ინფორმაციულ ვაკუუმში და ამიტომაც მათთვის არის კატასტროფის მომტანი ის, რომ საინფორმაციო ვაკუუმი დაირღვეს და ხალხამდე მივიდეს რეალური ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, თეფშებთან ბრძოლა მათ სტრატეგიაში არის მთავარი გენერალური ხაზი, რადგან არაინფორმირებული ამომრჩეველი არის ყველაზე საუკეთესო ამომრჩეველი მათთვის. რაც შეეხება იმას, რომ შეიძლება „მაესტროს“ ქონება დააყადაღონ, „მაესტროს“ მაუწყებლობა აკრძალონ, მე არა მგონია, ასე ღრმად შევიდნენ. ისინი მაინც ანგარიშს უწევენ რაღაც-რაღაცებს და თან დასავლეთის პოზიციას და, აქედან გამომდინარე, აქამდე არ მივლენ. სადაც „მაესტრო“ მიდის, იქ უკვე ხალხი ინფორმირებულია და, რომც აკრძალონ, ეს მხოლოდ უკურეაქციას გამოიწვევს. მათთვის დღეს მთავარია იმ არაინფორმირებული ამომრჩევლის შენარჩუნება, რომელიც დღემდე ჰყავთ ასეთ მდგომარეობაში. აი, ეს არის სულ მთელი მათი სტრატეგია და მათი ფილოსოფია და ამას ბოლომდე მიჰყვებიან.

– ბაზრობებზე საერთოდ აღარ იყიდება სატელიტური ანტენებიო...

– გეთანხმებით, რომ ასეა. ნებისმიერი ფორმით ებრძვიან ინფორმაციის გავრცელებას. მე ეს მაგონებს ჩემი ახალგაზრდობის დროს, რომ იტყვიან, ერთი-ერთზე ჯდება, როდესაც ახშობდნენ „ამერიკის ხმას“ და რადიო „თავისუფლებას“. მიმსხდარი ვიყავით რადიოებთან და ამ შიშხინში რაღაცას მაინც ვიგებდით. ზოგჯერ ვწერდით ხოლმე მაგნიტოფონზე და ერთმანეთში ვავრცელებდით. აი, დაახლოებით ასეთი ფილოსოფიაა, მთლად ისეთი მდგომარეობა ვერ არის, რადგან ქალაქში მაინც ვრცელდება „მაესტრო“. ის, რომ ასე ებრძვიან ინფორმაციის გავრცელებას, ძალიან ჰგავს საბჭოთა ბელადების სტრატეგიას, რომლებიც ასევე ებრძოდნენ „ამერიკის ხმისა“ და რადიო „თავისუფლების“ მართალი სიტყვის გავრცელებას.

– დაპირება უამრავი აქვს ხელისუფლებას, მაგრამ, რამდენად მოტყუვდება კიდევ ერთხელ ამომრჩეველი?

– ყველამ იცის, რომ ძალადობაზე, მოსყიდვასა და სიცრუეზეა დაფუძნებული ეს ხელისუფლება. შიში და მოსყიდვა ორი მთავარი მექანიზმია, რომლითაც დღეს წინასაარჩევნო კამპანიას ატარებს ხელისუფლება. ეს, რა თქმა უნდა, გაგრძელდება და, შეიძლება ითქვას, გაძლიერდება. მოსყიდვას რაც შეეხება, სხვადასხვა ფორმა არსებობს მათთვის და მე ადრეც მითქვამს, რომ ბიუჯეტიდან და ადმინისტრაციული რესურსით მოსყიდვას ისინი კანონიერად თვლიან, ანუ მათი მხრიდან მოსყიდვა არის ლეგიტიმური, ხოლო სხვისი მხრიდან თუნდაც რაღაცის დაპირება – ეს არის მოსყიდვა. ეს, რასაკვირველია, გაგრძელდება. ალბათ, დაშინება კიდევ უფრო მოიმატებს. ჩვენ დავინახეთ, რა მოხდა კარალეთში, რა მოხდა სოფელ მერეთში და ამან რა შედეგი გამოიღო.

– რა შედეგზე საუბრობთ?

– რაც არ უნდა ვთქვათ, გორში უფრო ნაკლები ხალხი იყო, ვიდრე სხვა ადგილას. ეს წაახალისებს ხელისუფლებას, რომ კიდევ უფრო გააძლიეროს დაშინების მეთოდები, ვინაიდან ფაქტია, რომ დევნილებიდან ძალიან ცოტამ თუ გაბედა მისვლა, იმიტომ რომ, მხოლოდ დევნილები რომ მისულიყვნენ, ერთი იმდენი ხალხი, რაც იქ იყო, მარტო დევნილები იქნებოდნენ. აქედან გამომდინარე, ეს წაახალისებს ხელისუფლებას და გააგრძელებს ამ დაშინების მეთოდს. ერთია, ოპოზიციამ იმაში მაინც უნდა დაარწმუნოს ეს ხალხი, რომ საარჩევნო კაბინაში შესვლისას მათ ვერავინ უთვალთვალებს, ვერავინ დააფიქსირებს, თუ ვის მისცეს ხმა. ასე რომ, მათ შეუძლიათ, შიშიც გამოთქვან, დარჩნენ სახლში, არ გამოვიდნენ მიტინგზე და ღიად არ დააფიქსირონ პოზიცია, მაგრამ, იმაში თუ მაინც დაარწმუნა ოპოზიციამ ეს ხალხი, რომ ფარული პოზიციის დაფიქსირების დროს მათ ნურაფრის შეეშინდებათ, ისინი კონტროლის გარეშე არიან დარჩენილი და, ვის შემოხაზავენ, ამას ვერავინ გაიგებს, მაშინ ხელისუფლების მხრიდან დაშინება ეფექტიანი ვერ იქნება.

– გორის აქციაზე ხალხის ნაკლებობას დაშინების ფაქტორით ხსნით?

– მხოლოდდამხოლოდ ამით. აქ სხვა ფაქტორი არ არსებობს. ვინც დადიოდა სოფელ-სოფელ, სწორედ მათგან ვიცი, რომ გულით და სულით, ფარულად ძალიან ბევრი ადამიანი უჭერს მხარს ოპოზიციას, კონკრეტულად „ქართულ ოცნებას“, მაგრამ მათ ეშინიათ იმ მინიმალური პირობების დაკარგვისაც კი, რომელიც მათ ხელისუფლებამ შეუქმნა. ეშინიათ, რომ ისინი დაკარგავენ შემწეობას, დაკარგავენ ბინას, სამსახურს და ამიტომ ისინი თავს იკავებენ თავიანთი პოზიციის ღიად გამოხატვისაგან, თორემ ფარულად ამბობენ, რომ ოპოზიციის მხარეზე არიან. მე იმედი მაქვს, რომ მათი განწყობები გამოხატული იქნება საარჩევნო ურნასთან.

დევნილებმა განა არ იციან და განა ვერ ხედავენ, ისინი, ვისი პოლიტიკის შედეგად აღმოჩნდნენ ამ მდგომარეობაში, უბრალოდ, არიან დათრგუნულნი, დაშინებულნი იმ მიზეზების გამო, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე. ეშინიათ, ის მინიმალურიც არ დაკარგონ, რომლითაც არსებობენ. თითოეულ სოფელში ჰყავთ ათი-ოცი კაცი, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკას ახორციელებენ. მათ უხდიან ხელფასებს, პრემიებს. ისინი ერთეულები არიან, რომლებიც ქმნიან იქ სიტუაციას, მაგრამ ამ ერთეულებს დამორჩილებული ჰყავთ სოფლის უმრავლესობა. იქ 5-10% კმაყოფილი და გამძღარი ჰყავს ხელისუფლებას, დანარჩენი მოსახლეობა არის დათრგუნული, შეშინებული და ამ მოსახლეობისთვის არის ბრძოლა. მე არ მჯერა, რომ ამ ეტაპზე მათ იმ თვალსაზრისით გადალახონ შიში, გარეთ გამოვიდნენ და დემონსტრაციულად დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია. ამ ინციდენტებმა და გორის აქციამ გვაჩვენა, რომ დაშინებამ იმუშავა.

– ჯერჯერობით მხოლოდ ქვებს ისვრიან და რაიმე უარესსაც ხომ არ უნდა ველოდოთ?

– როდესაც არის არჩევნები, ეს არის სიტყვიერი პაექრობა ყოველთვის, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში. შეიძლება, ეს გადაიზარდოს ისეთ უკადრის მეთოდებში, როგორიც არის, ვთქვათ, ტალახის სროლა, ზოგჯერ დაუმსახურებელიც, ესეც გარკვეულ ჩარჩოებში ჯდება. როდესაც გადადის ადამიანების ურთიერთობა ტალახის სროლიდან ქვების სროლამდე, ეს უკვე ძალიან სახიფათო ზღვარია და ქვების სროლიდან თოფის სროლამდე უკვე ერთი ნაბიჯია. ამიტომ ეს გაფრთხილებაა საზოგადოებისთვის ხელისუფლების მხრიდან, რომ ჩვენ არ მოვერიდებით თოფის სროლასაც და არ შევეგუებით ჩვენი სკამების დაკარგვას. აი, ეს არის მესიჯი, რომელიც ხელისუფლებამ ხალხს გაუგზავნა. მე ვფიქრობ, ძალიან სერიოზულად უნდა ამას გაანალიზება, დაფიქრება, საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება და მათი ყურადღების მიქცევა, მათი ჩართულობა. ერთადერთი, ეს იქნებოდა იმ საშიშ ზღვარზე შეჩერება, რომელზეც უკვე არის ხელისუფლება და ქვების სროლიდან შესაძლოა შემდეგი ნაბიჯი თოფის სროლამდე იყოს მისული.

– რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ღიად მიდის სამოქალაქო დაპირისპირებაზე?

– მე ვეთანხმები ამას და ზუსტად ამას ვგულისხმობდი, როდესაც ვამბობდი, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებას გაუგზავნა მესიჯი, რომ არც ქვების სროლას მოვერიდებით და არც თოფისას. მან ეს რამდენჯერმე აჩვენა უკვე 7 ნოემბერს, 26 მაისს, როდესაც უკიდურეს მდგომარეობაში იყო. ვფიქრობ, ხელისუფლება დღესაც უკიდურეს მდგომარეობაშია, ნელ-ნელა კედელთან ექცევა, სხვა გზა არ რჩება და იგი, ალბათ, ამ ნაბიჯზეც წამსვლელია. ვიმეორებ, ამის მესიჯები ხელისუფლების მხრიდან უკვე გაგზავნილია საზოგადოებისთვის.

– ამ ფონზე როგორი იქნება ფინალი?

– მე მაინც იმედი მაქვს, რომ ფინალი სასიკეთო იქნება, იმიტომ რომ ხანდახან შეიძლება მთელი ხალხი მოატყუო, ზოგჯერ ხალხის ნაწილი, მაგრამ მთელი ხალხის ყოველთვის მოტყუება შეუძლებელია.

ევროკავშირში შესვლის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი ლგბტ უფლებების დაცვაა

საზოგადოების მიერ ლგბტ უფლებების დაცვა ევროკავშირში შესვლის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, ამის შესახებ კომენტარი ონლაინ-გაზეთ „ეუობსერვერზე“ გაკეთდა. სომხეთის სასულიერო პირების განცხადებით კი, სომხური კულტურა და საზოგადოება ჰომოსექსუალებს არ აღიარებს.

– ჩვენ არ ვაღიარებთ არა ადამიანებს, არამედ იმ ცოდვებს, რასაც ისინი სჩადიან და ეს არის სწორედ ჩვენი თავისუფლება, სომეხი ხალხის თავისუფლება, სომხური საზოგადოება კი ადამიანის თავისუფლების ძირითად პირობებს იცავს, – აცხადებენ სომხეთის სასულიერო პირები.

ევროკავშირი ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, 1993 წლამდე ევროპული თანამეგობრობა ერქვა. მისი წევრია ევროპის 27 სახელმწიფო, რომელთა საერთო ფართობია 3.892 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა – 455 მლნ. ერთობლივი ეროვნული პროდუქტისა და საგარეო ვაჭრობის მასშტაბებით ევროპის კავშირი წინ უსწრებს აშშ-ის და იაპონიას.

რაც შეეხება ევროკავშირის კომპეტენციებს, იგი არის მრავალსექტორიანი ინტეგრაციის განვითარებული ფორმა, რომლის კომპეტენცია ვრცელდება ევროპის 27 სახელმწიფოს ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, მოქალაქეთა უფლებებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

ევროპულ ხელშეკრულებათა დადებისას წევრი სახელმწიფოები სუვერენიტეტის ნაწილს გადასცემდნენ იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტებს, რომლებიც იცავენ ეროვნულ და საერთო ინტერესებს. ევროკავშირის გამგებლობაშია, კერძოდ, საერთო ეკონომიკური ბაზარი, საბაჟო კავშირი, ერთიანი ვალუტა, საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და სხვა.

ნიკოლოზ რურუამ სერტიფიკატები გასცა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელებს სერტიფიკატები გადასცა. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა და იგი საქართველოს რეგიონების ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიცირების დასრულებას მიეძღვნა. სამინისტროში დაგეგმილ შეხვედრას კომისიის წევრები, ფოლკლორისტები და 74 სერტიფიცირებული ანსამბლის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფოლკლორული ანსამბლების სერტიფიცირების პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ „ფოლკლორის მხარდაჭერის ეროვნული პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. სერტიფიცირების კომისიის წევრები იყვნენ გიორგი უშიკიშვილი, ნატო ზუმბაძე, დავით შუღლიაშვილი, რევაზ ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე და უჩა დვალიშვილი. საქართველოს რეგიონებისა და თბილისის ფოლკლორული კოლექტივების დათვალიერება 2011 წლის 24 ოქტომბერს დაიწყო და 2012 წლის 4 ივნისს დასრულდა. მთლიანობაში სერტიფიცირებაში მონაწილეობა 155-მა ანსამბლმა მიიღო, აქედან სერტიფიკატი 74 ფოლკლორულ კოლექტივს მიენიჭა.

– ჩვენი გადაწყვეტილებით, სერტიფიკატები გადაეცა 74 ფოლკლორულ კოლექტივს. მათი სერტიფიცირება გასულ წელს დაიწყო და მხოლოდ ახლა დასრულდა. ეს იყო ნებაყოფლობითი და მასში ჩართვა არავისთვის დაგვიძალებია. მთლიანობაში ამ პროცესში 150-ზე მეტი ანსამბლი ჩაეთრო, მათგან მხოლოდ 74-ს გადაეცა სერტიფიკატი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ანსამბლები დამატებით მხარდაჭერას მიიღებენ. კულტურის სამინისტროს მიერ მოხდება მათი წარმოჩენა, ისინი მონაწილეობას მიიღებენ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ჩატარებულ ფესტივალებსა და სხვადასხვა კონცერტებში, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

სერტიფიცირების კომისიის გადაწყვეტილებით, სერტიფიკატები მიენიჭათ კახეთის 12 ანსამბლს, ქვემო ქართლის 7 ანსამბლს, შიდა ქართლის 2 ანსამბლს, სამცხე-ჯავახეთის 3 ანსამბლს, გურიის 8 ანსამბლს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 11 ანსამბლს, იმერეთის 12 ანსამბლს, რაჭა-ლეჩხუმ -ქვემო სვანეთის 6 ანსამბლს, სამეგრელო-ზემო სვანეთის 5 ანსამბლს, მცხეთა-მთიანეთის ერთ ანსამბლს და თბილისის 7 ანსამბლს. სერტიფიცირებული ფოლკლორული ანსამბლები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხრიდან დამატებით მხარდაჭერას მიიღებენ. ამ სერტიფიცირების მიზნებია ფოლკლორული ანსამბლების შემოქმედებითი დონის შესწავლა, ფოლკლორული ანსამბლების შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო მონაცემთა ბაზის შექმნა და საზოგადოებისათვის ქართული ფოლკლორის სათანადო დონეზე წარმოჩენა.

სერტიფიცირების პირობები კი მისი ორგანიზატორების მიერ ასე განისაზღვრა: ფოლკლორული ანსამბლებისათვის სერტიფიცირების პროექტში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. სერტიფიცირება არ ვრცელდება სახელმწიფო ანსამბლებზე. აღნიშნული პროექტი ასევე არ ითვალისწინებს საბავშვო ანსამბლების სერტიფიცირებას. ანსამბლების სერტიფიცირება კი მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ მოხდება.

ნიკა ჭანტურია და ჯავით ჯიქია „ფრაიბურგში“, კვერკველია — „ნეფტეხიმიკში“

გემახსოვრებათ, წელს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს წარმატებული სეზონი ჰქონდა. ვასილ მაისურაძის გუნდი მოახერხა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა. ცხადია, ამ ნაკრების ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდის თვალსაჩინო ხედვის არეში მოხვდნენ. მცველი ნიკა ჭანტურია და თავდამსხმელი დავით ჯიქია გერმანულ „ფრაიბურგში“ არიან და უკვე ივარჯიშებენ 19-წლამდელთა გუნდში.

ქართველი ფეხბურთელები ერთი კვირის განმავლობაში დარჩებიან გუნდში და, თუ იქაურებს თავს მოაწონებენ, ფრაიბურგელთა ქართველთა რაოდენობა ისტორიულად კიდევ უფრო გაიზრდება. ალბათ, არავისთვის არ არის უცხო, რომ სხვადასხვა დროს „ფრაიბურგში“ თამაშობდნენ ლევან კობიაშვილი, ალექსანდრია შვილი, ლევან ცქიტიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი კინაძე, ზაზა ზამთარაძე და დავით თარგამაძე.

თუ 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელები პროგრესირებენ, კენ მიდიან, იმავეს ვერ ვიტყვით ახალგაზრდული (21-წლამდე) ნაკრების ფეხბურთელ სოლომონ კვერკველიაზე.

გასულ სეზონში კვერკველია ყაზანის „რუბინში“ გამოდიოდა, რომლის ხელმძღვანელობამაც ქართველი პირველლიგელ „ნეფტეხიმიკში“ გაუშვა.

თუმცა ერთია, კვერკველიას ახალ გუნდში სათამაშო პრაქტიკა გაცილებით მეტი ექნება, ვიდრე ყაზანში ჰქონდა. ამის დასტურია რუსეთის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩი, რომელშიც „ნეფტეხიმიკმა“ საკუთარ მოედანზე ხაბაროვსკის „სკა-ენერგიას“ უმასპინძლა და 1:1. საქართველოს 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მცველმა განვლილი მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

მარჯანიშვილის თეატრი თანამშრომლობას ითხოვს

ეკა ირემაშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი საზოგადოებისგან თანამშრომლობას ითხოვს. „მარჯანიშვილის თეატრი გთხოვთ თანამშრომლობას!“ – ასეთი მოწოდებით გამოდის თეატრის ხელმძღვანელობა და ახმოვანებს ახალ თეატრალურ პროექტს, რომელსაც „კომბაინი“ ჰქვია.

– ეს იქნება სპექტაკლი, სადაც აქტუალური თემებისა და პრობლემების კომბინირება, გადამუშავება და გაანალიზება მოხდება. შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ ეს თემები მხოლოდ თინეიჯერებისთვისაა საინტერესო, მაგრამ „კომბაინი“ არაა მარტო ახალგაზრდებისთვის, ამ პროექტში ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია ჩაერთოს. ამიტომ ყველას გთხოვთ, ჩაერთოთ ამ სპექტაკლის სიუჟეტის შექმნაში. კერძოდ რას გულისხმობს ეს ჩართვა? გამოგვიგზავნეთ ამ თემებთან დაკავშირებული ამბები, შთაბეჭდილებები, აზრები და შემოგვიერთდით კომბაინურ მუშაობაში. თქვენ, თქვენი ამბებითა და აზრებით, ჩვენი სპექტაკლის თანამონაწილეები გახდებით! აქვე გაცნობებთ, რომ სპექტაკლის იდეის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ლევან წულაძეა. სიუჟეტების შეგროვებაში მას რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე დაეხმარებიან. ეს ადამიანები, ჩვენი გვერდის მოდერატორებთან ერთად, მუდმივად იქნებიან თქვენთან კონტაქტში! – ამბობს თეატრის წარმომადგენელი თამუნა ლალიაშვილი.

როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი განმარტავს, ლევან წულაძე საზოგადოებას სთხოვს გაუგზავნონ საკუთარი მოსაზრებები შემდეგ თემებზე: ემიგრაცია – გინდათ თუ არა სხვაგან ცხოვრება და რა არის ამის მიზეზი; თქვენი პირველი და ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება, რომელიც უცხოეთში ჩასვლისას დაგრჩათ; გაუცხოება მშობლებთან – გქონიათ თუ არა კონფლიქტი მშობლებთან და რა მიზეზით? იდენტობის პრობლემა – რამდენად გრძნობთ თავს იმ საზოგადოების წევრად, რა საზოგადოებაშიც ცხოვრობთ, რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გაღიზიანებთ ან არ მოგწონთ ამ საზოგადოებაში და რისი შეცვლა გინდათ; გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც თქვენი ვერ გაუგიათ და გქონიათ თუ არა შემთხვევა, როდესაც უსამართლოდ აღმოჩენილხართ უმცირესობაში? გიგრძნიათ თუ არა სკოლაში სწავლის დროს თავი დაჩაგრულად და რა მიზნით; მოახდინა თუ არა თქვენმა პირველმა სექსუალურმა გამოცდილებამ გარკვეული გავლენა თქვენს შემდგომ ცხოვრებაზე. იყო თუ არა ეს გამოცდილება დაკავშირებული რაიმე ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ ტრავმასთან?

– ჩვენ უკვე გავაქტიურდით სოციალურ ქსელში „ფეისბუქი“, სადაც ველოდებით საზოგადოების გამოხმაურებას. მათ მიერ მოწერილ ამბებს სცენაზე გადავიტანთ და მსახიობები, მუსიკოსები თუ სხვები ერთად აამუშავებენ თეატრალურ კომბაინს. ყველას მოვუწოდებთ, გახდით ახალი სპექტაკლის ავტორები! აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მათთვის, ვისაც სურს, რომ ანონიმურობა იყოს დაცული, მოგვწერონ საკუთარი ისტორიები სპეციალურ მეილზე, რაც შეუძლიათ რომ დაწერონ საჯაროდ, ამავე ჯგუფში მოგვწერონ, რადგან საჯარო დისკუსია და ცოცხალი განხილვა ჩვენთვის უფრო საინტერესოა, – ამბობს თამუნა ლალიაშვილი.

მარჯანიშვილის თეატრმა კონკურსიც გამოაცხადა, რომელიც მოიცავდა სემინარს თანამედროვე მწერლებისათვის. პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადდა. პირველი ეტაპი – სინოფსისების მიღება გაზაფხულზე დასრულდა. სულ ორგანიზატორებმა მიიღეს 17 განაცხადი, საიდანაც გადაირჩა 10 საუკეთესო – დათო გაბუნია, ნენე კვინიკაძე, დათო ტურაშვილი, ერეკლე დეისაძე, ალექსი ჩიღვინაძე, სანდრო კაკულია, ზურა პაპიაშვილი, ირმა ტაველიძე, გურამ მეგრელიშვილი და მიხო მოსულიშვილი. ამჟამად კონკურსი გადადის მესამე ეტაპზე, შერჩეული იდეის ავტორები გაემგზავრებიან კახეთში სასტუმრო შატო „მერე“-ში პიესის დასაწერად.

მიუხედავად იმისა, რომ მარჯანიშვილის თეატრმა თავისი სეზონი მაისის ბოლოს დახურა, თეატრში კვლავაც აქტიური მუშაობაა. თეატრი უკვე გავიდა საქართველოს რეგიონებში და საკუთარი რეპერტუარიდან რამდენიმე სპექტაკლი წარმოადგინა. რეჟისორმა ციცინო კობიაშვილმა [illegible] მონის მიხედვით განხორციელებული სპექტაკლი „ქალები“ აჭარელ მაყურებელს ჩაუტანა. გამოცხადებული კონკურსებისა და გასტროლების გარდა, რეჟისორები ლევან წულაძე და დიმიტრი ხვთისიაშვილი ერთად დგამენ სპექტაკლს „კოტე მარჯანიშვილი“, რომელიც გამოჩენილი ქართველი რეჟისორის იუბილეს ეძღვნება. სპექტაკლი ახალ თეატრალურ სეზონზე იქნება წარმოდგენილი.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მარჯანიშვილის თეატრისთვის წლევანდელ თეატრალურ სეზონზე მაინც მოვლენა გახდა, როდესაც 37 ქვეყნის შორის შექსპირის ფესტივალზე ქართული შექსპირიც აღმოჩნდა. რეჟისორმა ლევან წულაძემ მარჯანიშვილის თეატრის დასთან ერთად წარმოადგინა პიესა „როგორც გენებოთ“ და ორი დღის განმავლობაში გლობუსის თეატრის სცენაზე ფესტივალის მაყურებლისთვის გაითამაშა.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განაახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

საბანკო რეკვიზიტები:

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადარიცხვის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — სხვადასხვა მოქმედო — ხობის მონასტერი.
(ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.მ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, სანარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 ფერ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ: 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-28; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ემკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

● იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველომ ესტონეთთან ბოლოს წააგო

საქართველო – ესტონეთი 73:87

(19:16, 24:20, 20:24, 24:13)

საქართველო: ბურჯანაძე (21ქ,11მ), ალხანაიძე (17ქ,7მ), ფხაკაძე (12ქ,5ა), სანაძე (10ქ), ბოქოლიშვილი (7ქ,5ა), თენიეშვილი (4ქ,7მ), ლომინაშვილი (2ქ), ტატელაშვილი, როგავა

ესტონეთი: ნურგერი (17ქ,9მ), პუიდეტი (14ქ), პასოჯა (13ქ,11მ), რააპი (13ქ,7მ), ლაანე (12ქ,6მ,7ა.), მეცალუ (10ქ,6მ), ვაინო (8ქ)

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები ესტონეთს ღირსეულად ეომა, მაგრამ ბოლო მეოთხედში ვეღარაფერს გახდა. ეს ის ესტონეთია, 5 და 6 ივლისს ტალინში 2 ამხანაგური მატჩი დიდი სხვაობით რომ მოგვიგო. ქართველებს შანსი ჰქონდათ, რევანში აელოთ, თუმცა, როგორც ვთქვით, ბოლო მოთხედში ძალები აღარ ეყოთ. სანამ მატჩის მიმდინარეობაზე გადავალთ, საქართველოს ნაკრების ჯგუფს წარმოგიდგენთ.

საქართველოს ნაკრები 13-16 ადამიანების გასათამაშებელ საკვალიფიკაციო ჯგუფში მოხვდა. ქართველებთან ერთად ჯგუფი მონტენეგრომ, შვედეთმა და ესტონეთმა შეავსეს, რომლებმაც უსტიაშვილის გუნდის მსგავსად პირველ ჯგუფურ ეტაპზე ყველა მატჩი წააგეს. საკვალიფიკაციო ჯგუფში გუნდები ერთმანეთს 2-ჯერ შეხვდებიან, ანუ საქართველოს ნაკრებს დღეანდელ შეხვედრასთან ერთად 6 მატჩის გამართვა მოუწევს.

ესტონეთთან შეხვედრა საქართველოს ნაკრებმა შეხვედრა დამაჯერებლად დაიწყო. მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა და პირველი მეოთხედის მე-7 წუთისთვის 16:12 იგებდა, ბატონ ბურჯანაძეს კი ამ მომენტისთვის ორად ანგარიშზე 10 ქულა ჰქონდა. მომდევნო ორწუთ-ნახევარი საქართველომ 0:7 წააგო და მეოთხედის ბოლოს 16:19 ჩამორჩა. დარჩენილ დროში რეალურ როგორც ორჯერ მიეცა სროლის საშუალება, თუმცა ააცილა და პირველი პერიოდი ესტონელთა სამქულიანი უპირატესობით დასრულდა.

მეორე ათწუთიანის დასაწყისში ოთო ფხაკაძემ 2 ორქულიანი ააცილა, რაც ესტონელებმა არ გვაპატიეს და ნურგერისა და პაასოიას ზუსტი სროლებით 26:16 დაწინაურდნენ. აქ კი ოტა გამოფხიზლდნენ ჩვენები და ბურჯანაძე-ფხაკაძის ორქულიანებით ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირეს – 20:26. ამის შემდეგ თანაბარი ბრძოლა წავიდა. სამიზნე გაისწორა დუდა სანაძემ და ზედიზედ რამდენიმე ქულა მოიპოვა, რასაც ჩამორჩენის 3 ქულამდე შემცირება მოჰყვა, მაგრამ ესტონელებიც გამოიღებდნენ ხოლმე ხელს და ლიდერობას იმყარებდნენ. პირველი ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე ბალტიისპირელები 39:31 იგებდნენ. ბოქოლიშვილისა და ფხაკაძის ზუსტი საჯარიმოებით ქართველებმა ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირეს, ტაიმი კი ესტონელთა სასარგებლოდ – 43:36 დასრულდა.

დიდი შესვენების შემდეგ ირაკლი ალხანაიძე ათამაშდა, რომელმაც ზედიზედ 5 ქულა მიითვალა და ესტონელთა ლიდერობა ორამდე შეკვეცა, თუმცა უსტიაშვილის გუნდს კვლავ გაეპარა მეტოქის შეტევები და ესტონელები კვლავ 7 ქულით დაწინაურდნენ – 50:43. აქ კი ქართველებმა ხასიათი გამოავლინეს და წინ გაჭრილ მეტოქეს კვლავ წამოეწივნენ: ფხაკაძისა და ბურჯანაძის სამქულიანების შემდეგ ჩამორჩენა მინიმუმამდე შემცირდა – 49:50 მესამე მეოთხედის დასრულებამდე 5:50 წუთით ადრე. ესტონელებმა სასწრაფოდ წუთშესვენება აიღეს.

ქართველები ვერც წუთშესვენებამ დააშოშმინა. ბექა ბურჯანაძის სამქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა – 52:52. ესტონელები დაიბნენ, ლაანემ შეტევაში ბურთი დაკარგა, ხოლო ფხაკაძემ სწრაფი შეტევით ორქულიანი ჩააგდო, პლუს მეტოქეს აიძულა, დაჯარიმებულიყო. ზუსტი საჯარიმოს შემდეგ საქართველო წინ 3 ქულით გაიჭრა – 55:52. სწრაფი თამაში გახურდა, ორმხრივი შეტევებითა და შეცდომებით. ლიდერი რამდენჯერმე შეიცვალა და საბოლოოდ მესამე მეოთხედი ესტონელების გამარჯვებით 63:60 დასრულდა.

თამაში ესტონელთა გაქცევით განახლდა. რაანესა და მესალუს ზუსტი სროლების შემდეგ ესტონეთმა ძველი უპირატესობა დაიბრუნა – 70:60. ესტონელებმა ერთწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოგვიგეს, რასაც ქართველთა მწვრთნელის წუთშესვენება მოჰყვა. გაანახლდა თამაში და ბექა ბურჯანაძემ, რომელსაც იმ მომენტისთვის 21 ქულა და 11 მოხსნა ჰქონდა, მეოთხე პერსონალური ჯარიმა მიიღო, თანაც ესტონელებმა შეტევა წარმატებით დაასრულეს და 12 ქულით გალიდერდნენ. დუდა სანაძემ ტექნიკური ჯარიმა მიიღო, რასაც ესტონელთა ზუსტი საჯარიმოები მოჰყვა და ანგარიში 74:60 გახდა. ეს უკვე ბალტიისპირელთაგან გამარჯვებაზე სერიოზული განაცხადი იყო. დარჩენილ დროში ქართველებმა ვეღარ მოახერხეს ჩამორჩენის შემცირება და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, შეხვედრა აღარ დაძაბულა. ესტონელებმა საბოლოოდ 87:73 მოიგეს.

ქართველთაგან ბურჯანაძესთან ერთად ჩინებულად ითამაშა ირაკლი ალხანაიძემ, რომელმაც 18 წუთში 17 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. ალხანაიძემ 8-დან 6 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

მორიგი მატჩი საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ ჩერნოგორიასთან გვიან ღამით გამართა.

ოქტომბერში საქართველოს ცნობილი ახალზელანდიელი მორაგბე ტანა უმაგა ეწვევა

უკვე ტრადიციად იქცა, რომ რომელიმე მნიშვნელოვანი ტურნირის, ტურნესა თუ მატჩის შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირი გულშემატკივრებს რაგბის პაბში ხვდება და მათთან ღიად საუბრობს. შეხვედრაზე დასწრების საშუალება ნებისმიერ მსურველს აქვს, ვისაც კი რაგბიზე გული შესტკივა.

ბოლოს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ივნისის ტესტებისას ტურნე ჩრდილოეთ ამერიკაში გამართა, სადაც აშშ-სა და კანადის ეროვნულ გუნდებს ეთამაშა. ამერიკაშივე იმყოფებოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე მიიღო მონაწილეობა.

სწორედ ამ მატჩებთან დაკავშირებით შეხვდა გულშემატკივრებს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, რომელმაც თან ეროვნული ნაკრების მწვრთნელი მილტონ ჰეიგი იახლა. ცხადია, საუბარი მარტო ამ მატჩებით არ შემოფარგლულა – საუბარი იყო სამომავლო გეგმებსა და ქართული რაგბის პერსპექტივაზეც.

გიორგი ნიჟარაძე:

– საქართველოს ნაკრებმა აშშ-სა და კანადაში მარცხი განიცადა. უნდა ვთქვა, რომ ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. წარუმატებელი ასპარეზობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ივნისში ვერასდროს ვახერსებთ გუნდის ოპტიმალური შემადგენლობის შეკრებას. თუმცა ობიექტურთან ერთად იყო სუბიექტური მიზეზებიც. თბილისიდან გამგზავრებამდე ორი დღით ადრე ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული გუნდის საბოლოო შემადგენლობა. ბოლო მომენტში რამდენიმე მესამეხაზელი დაგვაკლდა. ამ პოზიციის შესავსებად სერიოზული პრობლემა გვექმნებოდა. ვერც ახალგაზრდა მოთამაშისთვის ვიზის საკითხის მოგვარებას ვასწრებდით და ნაკრებში ვეტერან გია ლაბაძეს უხმეს, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა და აშშ-სა და კანადაში შესვლის პრობლემა არ აქვს. თუმცა, ლაბაძის თამაშმა დაადასტურა, რომ ისევ შესანიშნავ ფორმაშია და ახალგაზრდა კონკურენტს აჯობა, რომ მას მოედანზე გასვლა არ მოუწია. ერთი, რასაც ვიტყვი, ის არის, რომ დენვერში აღარასდროს ვითამაშებთ. ამის თაობაზე ჩვენი პოზიცია ცალსახად დავაფიქსირეთ. აშშ-ის ნაკრები ამ ქალაქში თამაშამდე ერთი თვით ადრე დაბანაკდა და აკლიმატიზაციის პრობლემები არ ჰქონია. ჩვენი მორაგბეები კი მატჩის პირველი 30 წუთის განმავლობაში ვერ სუნთქავდნენ. თამაშის დროს ერთმანეთს ვერ ეკონტაქტებოდნენ. მწვრთნელების შენიშვნაზე ხელებით ანიშნებდნენ, ლაპარაკი არ შეგვიძლიაო. ცალკე თემაა ამერიკელების მასპინძლობა. მატჩის შემდეგ ტრადიციული „მესამე ტაიმი“ არ ყოფილა. ამასთან, ჩვენი გუნდის ავტობუსი გაფუჭდა და სტადიონიდან სასტუმრომდე ოთხი კილომეტრი ფეხით ვიარეთ. კანადელთა სასახელოდ უნდა ითქვს, რომ იქ ვითარება რადიკალურად განსხვავებული იყო.

მილტონ ჰეიგი:

– კანადასთან მატჩში დასაწყისშივე დიდი სხვაობით ჩამოვრჩით ანგარიშში მეტოქეს. ჩვენი მორაგბეები ცდილობდნენ, ჩქარა აღმოეფხვრათ ეს ჩამორჩენა. ამიტომ სისწრაფეში ხშირად უშვებდნენ შეცდომებს. დაცვაში სწორი სისტემით ვთამაშობდით. ზუსტად ასე ირჯება ახალი ზელანდიის ნაკრები ანუ პრობლემა სისტემაში არ არის. თუმცა, უამრავი სხვა ნიუანსია გასათვალისწინებელი, მაგალითად, შებოჭვის სწორად ცოდნა. არსებობს თამაშის ამ ხერხის რვა კომპონენტი, რომლებსაც ახალ ზელანდიაში ბავშვებს ეტაპობრივად ასწავლიან. განსაკუთრებით თვალშისაცემია ქართველი მორაგბეების პასიურობა ბოჭვის შემდეგ – თითქოს თავიანთი საქმე მოილიეს და თამაშს ეთიშებიან ან ნაბიჯებით დადიან და არ გარბიან. ამის გამო დაცვის ხაზში დიდი სივრცე იქმნება, რომელსაც მეტოქე კარგად იყენებს.

გიორგი ნიჟარაძე:

– ასაკობრივ და ეროვნულ ნაკრებებში მწვრთნელებს მუდამ უნევთ მოთამაშეებთან ელემენტარულ უნარ-ჩვევებზე მუშაობა, რომლებიც მორაგბემ ბავშვობაში კლუბში უნდა ისწავლოს. ნაკრებში ვარჯიშზე ნასწავლი და კარგად შესრულებული ძალიან ხშირად არ გამოდის მეტოქის ასევე კარგად ორგანიზებული წინააღმდეგობისას. ამიტომ ჩვენი მორაგბეები ინსტინქტურად აკეთებენ იმას, რაც ბავშვობაში აითვისეს და სწორად თამაშს ვერ მიეჩვივნენ. ამიტომაა საჭირო, ბავშვებს თავიდანვე გამართული რაგბი ვასწავლოთ. ამასთან ერთად, ტურნეში წარუმატებლობის მიზეზი სათამაშო დისციპლინის დაბალი დონეა. ეს კი ძირითადად თამაშის წესების არასრული ცოდნის ბრალია. ჩვენი მორაგბეები ამიტომაც ჯარიმდებიან ძალიან ხშირად. რაგბის კავშირი მალე აამოქმედებს სპეციალურ პროგრამას, რათა მოთამაშეებმა ბავშვობიდანვე ზედმიწევნით იცოდნენ თამაშის წესები.

მილტონ ჰეიგი:

– სამაგიეროდ, ჩვენს გუნდს არანაირი პრობლემა არ აქვს მოედნის მიღმა ქცევებში. ამ კუთხით საქართველოს ნაკრები არის საუკეთესო იმ გუნდებს შორის, რომლებთანაც მიმუშავია. ქართველი მორაგბეები მოედნის მიღმა, საზოგადოებასთან და ერთმანეთთან ურთიერთობაში სამაგალითონი არიან. ეს ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რაც საგრძნობლად მიადვილებს მათთან მუშაობას.

გიორგი ნიჟარაძე:

– ნაკრებში გამოძახებული მოთამაშეები საფრანგეთის ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონში ასპარეზობენ და, ცხადია, მომზადების დონეც განსხვავებული აქვთ. ეს ნაკრებში საგრძნობ დისბალანსს ქმნის. ამიტომ გადავწყვიტეთ, საქმეში ჩავრთოთ „კლერმონის“ მწვრთნელი, ახალზელანდიელი ვერნ კოტერი, რომელიც მილტონ ჰეიგის მეგობარია. მოლაპარაკება უკვე შედგა და ფედერალ 1 დივიზიონში მოთამაშე ქართველი მორაგბეები თვეში ერთხელ „კლერმონის“ ბაზაზე შეიკრიბებიან. მათ ამ კლუბის ფიზმომზადების მწვრთნელი და მილტონ ჰეიგი ავარჯიშებს. ბიჭები მიიღებენ დავალებას, რომელიც ერთი თვის განმავლობაში, მომდევნო შეკრებამდე უნდა შეასრულონ. ცხადია, ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული – გადასახდელია ფიზმომზადების მწვრთნელის ჰონორარი და მოთამაშეთა მგზავრობის ხარჯები, თუმცა უმნიშვნელოვანესი საქმეა და ამისთვის ფული აუცილებლად უნდა დავხარჯოთ.

მილტონ ჰეიგი:

– ოქტომბრის ბოლოს თბილისში ჩამოვა ცნობილი ახალზელანდიელი მორაგბე ტანა უმაგა, რომელიც ნაკრების ნოემბრის ტესტებისთვის მომზადებაში დამეხმარება. მეტოქეები საკმაოდ სერიოზული გვყავს. იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან იოლი გასეირნება არ გვექნება. თუმცა ჩვენთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანია 2015 წლის მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით დაძლევა და ინგლისში 16 საუკეთესო გუნდში მოხვედრა, რაც საშუალებას მოგვცემს, მომდევნო, 2019 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში საკვალიფიკაციო ტურნირის გარეშე ვიასპარეზოთ. ყველა ქართველი მორაგბის შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ და შემიძლია, იმ გუნდის მშენებლობა დავიწყო, რომლებსაც ზემოთქმული მიზნების განხორციელება შეეძლებათ.

გიორგი ნიჟარაძე:

– რაც შეეხება ეროვნული ნაკრების ტესტებს, უკვე გადაწყვეტილია, რომ 2013 წლიდან რუმინეთში გასამართი ირბ-ს ერთა თასის ფორმატი შეიცვლება და გაიყოფა. ჩატარდება ორი ტურნირი ბუქარესტსა და თბილისში. პირველში ორი საბაზო გუნდი იქნება რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებები, ხოლო თბილისში საბაზო გუნდები იქნებიან საქართველოს ნაკრები, ხოლო მეორეს შეარჩევენ ერთ-ერთს ჩილეს, ურუგვაისა და ნამიბიის ეროვნული ნაკრებებიდან. ამ გუნდებს დაემატებათ სამხრეთ აფრიკის, არგენტინის, ირლანდიისა და იტალიის ნაკრებები, რომლებიც მონაცვლეობით ითამაშებენ თბილისსა და ბუქარესტში. ასე რომ, 2013 წლის ივნისში საინტერესო ტურნირს ვუმასპინძლებთ, რომლის დასრულებისთანავე საქართველოს ნაკრები არგენტინაში გაემგზავრება, სადაც ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. ნოემბერში კი, როგორც გადაწყვეტილია, თბილისში ისევ კანადისა და აშშ-ის ნაკრებები გვეწვევიან. ძალაში რჩება ირბ-ს დაპირება, რომლის მიხედვითაც ორ წელინადში ერთხელ ელიტური ქვეყნების გუნდებს უნდა ვეთამაშოთ. 2014 წლის ნოემბერში ერთ შეხვედრას შინ გავმართავთ კუნძულელთა ერთ-ერთ ნაკრებთან (სამოა, ფიჯი, ტონგა) და სტუმრად ვითამაშებთ იტალიის ან შოტლანდიის ეროვნულ გუნდთან. ამასთან, ირბ-სგან გაიზრდება დაფინანსება. სხვა თემაა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ასპარეზობა მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე. მიუხედავად იმისა, რომ შედეგი შარშანდელთან შედარებით გაუარესდა, მიმაჩნია, რომ გუნდის თამაშის ხარისხი ბევრად გაუმჯობესდა. ამჟამინდელი თაობა შარშანდელზე უკეთესია და, შესაბამისად, ამ გუნდის უფრო მეტს მორაგბეს აქვს შანსი, ეროვნულ ნაკრებში დაწინაურდეს. ყველაზე მეტად კი ის მახარებს, რომ მოთამაშეებმა თავადვე სწორად გააანალიზეს საკუთარი შეცდომები. ეს იმედს მაძლევს, რომ წინსვლას და განვითარებას შეძლებენ. ერთი სიტყვით, რაგბის კავშირს საზრუნავი ძალიან ბევრი აქვს. აბსურდულია იმის თქმა, რომ ქართულმა რაგბიმ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია და მორჩა, იმის იქით არაფერია. ეს ასე არ არის. სამუშაო და დასახვენი ძალიან ბევრი გვაქვს. ახლა ჩვენ იმ ეტაპზე ვართ, როცა ან წინ უნდა გადავდგათ სერიოზული ნაბიჯი, ან უკუსვლა დაიწყება, ამას კი, გარწმუნებთ, არაფრით დავუშვებთ. საამისოდ, როგორც უკვე ვთქვი, ბევრი სამუშაო გვაქვს. კერძოდ, მალე დაიწყება ბავშვთა მწვრთნელების ლიცენზირება, არალიცენზირებულ მწვრთნელს აეკრძალება სარაგბო ფესტივალებზე გუნდების გაყვანა. რაგბის კავშირი ლიცენზიის გაცემის შემდეგ უზრუნველყოფს ლიცენზირებული მწვრთნელის მუშაობის მუდმივ გეგმიურ და არაგეგმიურ შემოწმებას. მსაჯობის დონის ამაღლების გარეშე რაგბის განვითარება შეუძლებელია. უნდა შეიქმნას გამართული სისტემა. საამისოდ შევარჩიეთ 30 ახალგაზრდა, რომლებიც მომზადების სპეციალურ კურსს გაივლიან. ვცდილობთ, მსაჯობის დონის ამაღლებისთვის უცხოელი სპეციალისტებიც მოვიწვიოთ. დაგეგმილი გვაქვს, ახალგაზრდული ნაკრების უკანახაზელები და მესამე ხაზის მოთამაშეები შევკრიბოთ, რომლებიც კონტრაქტს გააფორმებენ რაგბის კავშირთან და არ ითამაშებენ კლუბებში. ისინი მხოლოდ საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებში ისპარეზებენ და სეზონის განმავლობაში ყველა ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ეს ხელს შეუწყობს მორაგბეების სათამაშო კლასის ამაღლებას და შეიქმნება 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის ეროვნული ნაკრების სათანადოდ შევსების შესაძლებლობა.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

მეტალურგი იცლება და ივსება

ქართული კლუბები ევროთასებზე ასპარეზობას აგრძელებენ. მათ რიგებს ქუთაისის „ტორპედო“ გამოაკლდა. საქართველოს ჩემპიონი „ზესტაფონი“ და საქართველოს თასის მფლობელი გორის „დილა“ თავიანთ პირველ მატჩებს მალე გამართავენ. „ზესტაფონი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ნეფთჩის“ ხვდება, „დილა“ კი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო მატჩს „ორჰუსთან“ გამართავს. ორივე სტუმრად ითამაშებს. ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბაული რუსთავის „მეტალურგი“ კი პლუზნის „ვიქტორიას“ დაუპირისპირდება.

რუსთაველთათვის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი იოლი გასეირნება გამოდგა. უნდა ითქვას, რომ ეს ერთი მხრივ მეტოქე გუნდის სისუსტეზე გაანპირობა, თუმცა არც ჟორჟიკაშვილის შეგირდებს უნდა დავუკარგოთ კარგი თამაში და ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიშები. ვიცეჩემპიონს მორიგ ეტაპზე გაცილებით რთული თამაშები ელის. პლუზნის „ვიქტორია“ „ტეუტაზე“ გაცილებით ძლიერი გუნდია.

ამას კარგად აცნობიერებს რუსთაველთა თავკაცი კობა ჟორჟიკაშვილი და გუნდს სათანადოდაც ამზადებს, თუმცა პრობლემა მაინც არის. კლუბი გამოცდილმა მცველმა და კაპიტანმა, გივი კვარაცხელიამ დატოვა, იგი თბილისის „დინამოში“ გადავიდა. ასევე „დინამოს“ დაუბრუნდა ალბანელთა კარში ორი ულამაზესი გოლის ავტორი გიორგი თექთურმანიძე, რომელსაც რუსთაველ კლუბში იჯარის ვადა დაუმთავრდა.

ჟორჟიკაშვილის დიდი თავსატეხი აქვს. თუმცა, რუსთაველთა მთავარი მწვრთნელი ადრეც აცხადებდა, რომ ეს ორი ფეხბურთელი მალე დატოვებს გუნდს და მის შემცვლელებზე უკვე ფიქრობს. მისივე თქმით, ფინანსებიდან გამომდინარე, აქციენტს ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებზე გააკეთებს, თუმცა არაა გამორიცხული გუნდში ლეგიონერიც ვიხილოთ, გაიჩნია, შეწვდება თუ არა კლუბი მასზე გადასახდელ თანხას.

ჯერჯერობით გუნდში ორი ახალი ფეხბურთელი მივიდა – დავით ჯანელიძე ქუთაისის „ტორპედოდან“ და ლექსო ინნკირველი გორის „დილადან“. გუნდი ფეხბურთელების დამატებაზე კიდევ ფიქრობს. ჟორჟიკაშვილის თქმით, ჯანელიძისა და ინნკირველის განაცხადში შეყვანა „პლზენთან“ მატჩამდე მოესწრება. თუმცა, რამდენად სრულფასოვანი იქნება უკვე შეთამაშებული ფეხბურთელების შეცვლა, ეს უკვე მომავალ მატჩებში გამოჩნდება.

ჯანელიძე 23 წლისაა და თავის დროზე, ჟორჟიკაშვილის გაწვრთნილ 17-წლამდელებში თამაშობდა – როცა გუნდმა იტალიაში ლინიანოს ოლიმპიადა მოიგო. დავითი „ზესტაფონში“ გამოდიოდა, სამი წლის განმავლობაში ლატვიურ კლუბებში თამაშობდა და „ტორპედოში“ რამდენიმე თვის წინ გადავიდა, თუმცა თამაში ხშირად არ უწევდა.

რაც შეეხება ინნკირველს, გამოცდილ მცველს, სხვადასხვა დროს „ვიტ ჯორჯიაში“, თბილისის „დინამოში“ და აზერბაიჯანულ კლუბებში უთამაშია, ბოლოს კი გორის „დილაში“ გახლდათ და თასის ფინალში მეოთხე გოლიც გაიტანა „ზესტაფონის“ კარში.

შედეგები

ფეხბურთი

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ნორდსიელანდი 0:4

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-გაისი 2:0

დიურგარდენი-ნორჩიოპინგი 1:1

ნოიეგია. ტიპეღიგა

სტრომგოდსეტი-ულფი 2:1

ფინეთი. ვეიკაუსღიგა

ლახტი-მარიეჰამნი 2:0

კალათბურთი

ამხანაგური მატჩი

ეაცები

აშშ-ბრაზილია 80:69

ჩოგბურთი

ატპ. ჰამბურგი. თიხა

სიმონი-ბერლოკი 4:6;7:6;6:1

პაასე-ბაპინგერი 6:4;6:2

დავიდენკო-ნიემინენი 5:7;6:4;6:0

ჩარდი-მონტანესი 6:4;6:2

ვტა. ბასტადი. თიხა

სუარეს ნავარო-ცურენკო 5:7;0:6

ბარტელი-ბერტენსი 6:3;6:2

დეკუ მარიანო-რომა 7:5;6:1

მედინა გარიგესი-რობსონი ... 6:4;7:6

ვტა. ეაჩლსბადი. ჰარი

გლატჩი-დეივისი 6:3;6:2

დე ბრიტო-დოი 7:6;1:6;3:6

ლეპჩენკო-გიბსი 6:3;6:1

ჰანტუჩოვა-რადვანსკა უ. 4:6;5:7

მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის პირველი ეტაპი დაიწყო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძართან ერთად აშენდება სავანეც. სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსდება საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრი, ღვთისმშობლის მუზეუმი, მომლოცველობის სამსახური და პილიგრიმთა სასტუმრო. ასევე დაარსდება, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლი და სარეაბილიტაციო ცენტრი. მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობა 17 აპრილს სიმბოლურად დაიწყო. ტაძრის საძირკვლის გაჭრამდე და მშენებლობის დაწყებამდე ეროვნულ მუზეუმში ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის არქიტექტურული პროექტის პრეზენტაცია შედგა. ტაძრის პროექტი ომარ ნაფეტვარიძეს ეკუთვნის. პრეზენტაციაზე რეჟისორ ლევან კოღუაშვილის მიერ მომზადებული ვიდეო-კლიპი იქნა ნაჩვენები, რომელიც 2011 წლის 12 მაისის ტაძრის საძირკვლის კურხევას ასახავს და ისტორიული მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ გვიამბობს.

– 175.000 ადამიანი, რომელიც უკვე არის გაწევრიანებული ფონდში „ივერიისა“, სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე ტაძრის ასაგებად თანხას ყოველთვიურად რიცხავს. ჩვენ გვყავს „ქტიტორთა სათათბირო“, რომელშიც შედიან ცნობილი ადამიანები და სათათბირო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ისინი გააგებინებენ საზოგადოებას, თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ეს არ არის უბრალოდ ეკლესიის და სახლის მშენებლობა, ეს არის საქართველოს სულიერი სიმდიდრე და ტაძარი. „ქტიტორთა სათათბიროს“ წევრები არიან – გურამ დოჩანაშვილი, რუსუდან ფეტვიაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ლია სტურუა, ნინო ქაჯაია, ლევან კოღუაშვილი, დავით ლორთქიფანიძე, კოტე ჯანდიერი, ნინო სუხიშვილი, ანზორ ერქომაიშვილი, ელდარ შენგელაია, ნიკოლოზ რაჭველი. „ქტიტორთა სათათბიროს“ მოვალეობაა, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია ტაძრის მშენებლობისა და მთლიანი პროექტის მნიშვნელობის შესახებ, პერიოდულად გაეცნოს ფონდ „ივერიისას“ აქტივობასა და ფინანსურ ანგარიშს, მონაწილეობა მიიღოს ფონდის წევრების მიერ წარმოდგენილი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობას სიმბოლური და პრაქტიკული ხასიათი აქვს. „ქტიტორთა სათათბიროში“ საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები შედიან. ეს არის ქართული სულიერების ნაღები, როგორც ერისკაცები, ისე სასულიერო პირები და ჩვენ ყველა საკითხზე ვთანხმდებით, – აღნიშნავს პაატა ბურჭულაძე.

ტაძრის არქივში დაცული იქნება ორი წიგნი – ცოცხალთა და გარდაცვლილთა, სადაც ჩაიწერება აღმშენებელთა გვარ-სახელები. ტაძრის საძირკვლის გაჭრამდე და მშენებლობის დაწყებამდე კი, მთელი რიგი მოსამზადებელი ეტაპები ჩატარდა – სამების საკათედრო ტაძარში მარმარილოს ფილა „ქრისტე არს ძლევაი“ და ათონის მთიდან, მონასტერ „ივერონიდან“ ჩამოტანილი მიწა დააბრძანეს. ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფონდის „ივერიისა“ დამფუძნებელმა, პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, რომ ეს ფილა და მიწა ფონდის ჯგუფმა, ათონის მთაზე მესამედ სტუმრობისას წამოიღო.

– ჩვენი ჯგუფი 2012 წლის დასაწყისში იმყოფებოდა ამ მონასტერში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. ბერებმა ჩვენ გადმოგვცეს ფილა, რომელსაც აწერია „ქრისტე არს ძლევაი“, ასევე მიწა. ჩვენ ეს ფილა და მიწა დავაბრძანეთ სამების ტაძარში, შემდეგ გადავაბრძანეთ მახათას მთაზე, სადაც დაიწყო ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობა, – განაცხადა მსოფლიო ბანმა.

მახათას მთაზე მშენებარე ტაძრის მშენებლობაში კულტურის წარმომადგენლების ჩართვა საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით ხორციელდება.

– თბილისში, მახათას მთაზე შენდება ივერიის ღვთისმშობლის ხატის ტაძარი და სავანე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ისტორიაში. ყოველი ქართველი, როცა შევა ამ ტაძარში, შევა თავის აშენებულ ღვთის სახლში, – აცხადებს მისი უწმინდესობა.

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“, რომელიც სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ პროექტს. მისი ოფიციალური წარდგენა გაიმართა 2010 წლის 14 სექტემბერს. ფონდის მიერ შემოთავაზებული უნიკალური სქემა ყველა ადამიანს აძლევს აქციაში თანაბარი მონაწილეობის საშუალებას. ნებისმიერი შემომწირველი, შეწირული თანხის ოდენობის მიუხედავად, 1 ლარს სწირავს თავის სახელზე, ხოლო დანარჩენ თანხას – თავისი ახლობლების, ოჯახის წევრების, გარდაცვლილი წინაპრების ან სოციალურად დაუცველი ადამიანების სახელზე, ვისაც არ აქვს მატერიალური საშუალება შეეწიოს ტაძრის მშენებლობას. სწორედ ამაში მდგომარეობს აქციის თანასწორობის უნიკალური პრინციპი. იქმნება ცოცხალთა და გარდაცვლილთა წიგნი, რომელშიც ტაძრის აღმშენებელი მილიონობით ქართველის გვარ-სახელი ჩაიწერება. პირველი შესაწირი ამ ტაძრის მშენებლობისთვის თავად საქართველოს პატრიარქმა გაიღო თავისი წინაპრების, საქართველოს მეფეებისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების სახელზე. უკვე არსებობს ფონდის ვებ-გვერდი, რომლის დახმარებითაც აქციაში ჩართვა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს შეუძლიათ. ლაივ კამერით კი შესაძლებელია ნახვა თუ რა სამუშაოები მიმდინარეობს ამ წუთში სამონასტრო კომპლექსში.

– მახათას მთაზე, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარს მთელი ჩვენი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. ჩვენ ერთად ავაგებთ ტაძარს, რომელიც გაგვაერთიანებს! 2010 წლის 24 მაისს ფონდ „იავნანას“ აქციაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველ ერს აუწყა ისტორიული მშენებლობის შესახებ და კურთხევა მოგვცა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, განათლებისა თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, გავერთიანდეთ და თანასწორი წვლილის შეტანით ერთად ავაშენოთ ეს უდიდესი სულიერი სავანე. ეს მართლაც უნიკალური მშენებლობა და სახალხო აქციაა, რადგან ტაძარს მთელი საზოგადოება, საქართველოში მცხოვრები ხალხი და მთელი ქართული ემიგრაცია ერთად აშენებს. მსოფლიოში მრავალი ტაძარი აშენებულა რომელიმე ორგანიზაციის ან ბიზნესმენის თანადგომით, მაგრამ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი გამორჩეულია თითოეული ჩვენგანის თანაბარი მონაწილეობით და იგი ჭეშმარიტად ქართველი ხალხის ერთიანობის, სიყვარულისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი გულითადი თაყვანისცემის სიმბოლოდ იქცევა. ამ მშენებლობაში მთავარი სწორედ ჩვენი ერთიანობაა ღვთისმშობლის გარშემო, რომელიც სულიერად გამთლიანებულ ერს გაუძღვება ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის აგებით, ყოველი ჩვენგანი, უპირველეს ყოვლისა, ააგებს საკუთარ სულიერ ტაძარს, თავად გახდება ტაძარი ღვთისა, ჭურჭელი სულისა წმიდისა, რისთვისაც არის კიდეც მოწოდებული ადამიანი. მახათას მთაზე სამონასტრო კომპლექსთან ერთად განთავსდება ასევე საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ქრისტიანული სწავლების გავრცელებას, თავშესაფარი ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მონასტერთან ასევე დაფუძნდება ნარკოლოგიის სარეაბილიტაციო ცენტრი, – განმარტავს ფონდის ხელმძღვანელი.

ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მახათას მთაზე მთავარი ტაძრის საძირკველი აკურთხა. ცერემონიალზე დასასწრებად, საქართველოს ოცდათვრამეტივე ეპარქიის მრევლი ჩამოვიდა, ... ლისს მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლები ეწვივნენ. ... ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ მშენებლობას ისტორ... ლი მოვლენა უწოდა.

– წმიდა სამების საკათედრო ტაძრის შემდგომ ღვთისმშ... ლის სავანის მშენებლობა მახათას მთაზე არის კიდევ ერთი სა... ალება ჩვენი ერის მიერ ღვთისაგან განშორების ცოდვის მონან... ბისა. XX საუკუნეში ღვთის თაყვანისცემის შეჩერება საყოველ... ხასიათს ატარებდა. შესაბამისად, უფალთან დაბრუნება საერ... სახალხო საქმეა. სწორედ ამიტომ ამ ტაძარს ქართველი ერ... მეორე ავტოპორტრეტი ეწოდება. ეს მშენებლობა კიდევ უფ... მეტად დაგვაახლოვებს ჩვენს ზეციურ მფარველთან და განგ... ტკიცებს ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. მშენებლობის ვადა მბოლ... ჩვენს კეთილ ნებასა და ჩვენ მიერ გაღებულ შემოწირულობებ... დამოკიდებული, – აღნიშნა საქართველოს პატრიარქმა.

არსებობს გადმოცემა, რომ სანამ ღვთისმშობლის ხატი იერ... თა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელ ქვეყნიერებას მოპა... მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს. მაგრამ დადგება დ... როდესაც ეს ხატი გაუჩინარდება ისეთივე იდუმალი გზით, როგ... რითაც მობრძანდა და მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატო... წმიდა მთა, რადგან, გადმოცემის თანახმად, სწორედ ეს იქ... სოფლის აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერ... ნიშანი.

– ივერიის ღვთისმშობლის ხატი გამოხატავს ყოვლადწმ... ღვთისმშობლის მადლის განსაკუთრებულ მყოფობას დედამინაზ... მსოფლიო მართლმადიდებლობის მცველი ეს ხატი ღვთისმშობ... უზენაესი ძალისა და მადლის გამოვლენას წარმოადგენს. ამ ხ... არაერთი სასწაული აქვს მოხდენილი, რომლებიც ჩაწერილ... თა და ათონის მთის სხვა მონასტრების მატიანეებში, – აღნ... ილია მეორემ.

ტაძრის არქიტექტორის ომარ ნაფეტვარიძის განცხადებ... მახათას მთაზე აშენდება სამნავიანი ტაძარი გუმბათით, ტაძ... სიგრძე იქნება 60 მეტრი, სიგანე – 75 მეტრი, სიმაღლე – 51 მეტ... მასშტაბით ტაძარი სვეტიცხოველზე ოდნავ დიდი მოცულ... იქნება. ტაძარი მოპირკეთდება ბოლნისის ტუფის ქვით. გუმბა... კონსტრუქციას ანალოგი არ ექნება. ტაძრის დასრულება ... დებული იქნება დაფინანსებაზე, რაც, სავარაუდოდ, სამ წელინ... ში მოხდება. ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სა... ლობის ტაძარი იქნება ერთ-ერთი სამონასტრო კომპლექსი. მა... თას მთაზე მშენებარე სამონასტრო კომპლექსში უნდა აშენდ... საგანმანათლებლო მთარგმნელობითი ცენტრი, მიუსაფარ ბავშ... საცხოვრებელი, ნარკომანთა სარეაბილიტაციო ცენტრი და სხ... მრავალფუნქციური დატვირთვის ობიექტი.

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის საძირ... კველში კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და პრეზიდენტ... მიხეილ სააკაშვილმა ოქროს მონეტები ჩაატანეს, რის შემდეგ... ტაძრის საკურთხევლის ადგილზე პირველი მიწა ილია მეორ... ამოიღო.

მახათას მთაზე ტაძრის მიმდინარე მშენებლობის დასაბ... რებლად საქველმოქმედო კონცერტები გამართეს ვაჟთა ფ... კლორულმა ანსამბლმა „ალილომ“ და „მოძახილმა“. „ალილ... პირველ სოლოკონცერტთან ერთად პირველი ალბომის პრეზენტ... ციაც მოაწყო. გაყიდული აუდიო ალბომებიდან შემოსული თან... მახათას მთაზე მშენებარე ტაძარს გადაეცა. ანალოგიური გად... ყვეტილება მიიღო ანსამბლმა „მოძახილმაც“. დისკის პრეზენტაცი... აზე გაყიდული ალბომების შემოსავალი მთლიანად მახათას მთა... გადაირიცხა. მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო ცენტრში „ბ... ზა“ კი სკოლა „მერმისის“ საქველმოქმედო აქცია გაიმართა. საქ... ველმოქმედო ღონისძიება მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობ... მიეძღვნა. სკოლამ „მერმისი“ ღონისძიებაზე ალმანახ „მერმისის... პრეზენტაცია გამართა, ასევე, თეატრ-სტუდიის სპექტაკლი „ს... ცია-ადამიანი“ და ფოტოგამოფენა „გადავარჩინოთ ტაო-კლარჯ... თი“ წარმოადგინა. „მერმისელებმა“ ნახატების გამოფენითა და ... საქველმოქმედო აქციით შემოსულ თანხა მახათას მთაზე ივერი... ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდ... შესწირეს.

– ასეთია ჩვენი ცხოვრება, ვინც ეკლესია-მონასტრებს აშ... ნებს, თავის სულიერ ტაძარს აშენებს, ხოლო ვინც ანგრევს, საკ... თარ სულიერ ტაძარს ანგრევს. ეს იქნება არამარტო ლოცვისა და ... სულიერი მოღვაწეობის ადგილი, ეს იქნება დიდი მეცნიერულ... ცენტრი. პირველი და მთავარი პასუხისმგებლობა დავაკისრეთ ... პაატა ბურჭულაძეს, რომელმაც ეს მორჩილად მიიღო და მე მინდ... დავლოცო იგი, არქიტექტორები, მუშები და ყველა, რომელიც ... შრომობს ამ ტაძრის მშენებლობაზე, – განაცხადა ილია მეორემ.

ეკა ირემაშვილი

პლეზენი დიდ გულზე მოდის

ევროპაში ქართულ გუნდებთან შეხვედრა ყველას უხარია. აგერ, „ნეფთჩი“ ისე იყო გახარებული, „ზესტაფონს“ რომ შეხვდა (ეს მატჩი გუშინ გვიან დასრულდა და მასზე ხვალ გიამბობთ), მეტი აღარ შეიძლებოდა, ხოლო ჩეხური „პლზენის“ მთავარმა მწვრთნელმა პაველ ვრბამ განაცხადა, რომ რუსთავის „მეტალურგის“ ვერგაცდენა ევროპის ლიგაზე ყველაზე დიდი იმედგაცრუება იქნებოა. მოკლედ, ერი და ბერი ჩვენი გუნდების დამარცხებაზეა ორიენტირებული.

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე რუსთავის „მეტალურგის“ მეტოქე „პლზენი“ დღეს ჩამოვა თბილისში. წამოსვლამდე კი ტრადიციული პრეს-კონფერენცია გამართეს, რომელსაც კლუბის გენერალური დირექტორი ადოლფ სადეკი, მწვრთნელი ვრბა და გუნდის კაპიტანი პაველ ხორვატიც დაესწრნენ.

ადოლფ სადეკი:

– გვიხარია, რომ ახალი სეზონი ასეთი კარგი ინფორმაციით შეგვიძლია დავიწყოთ – ვრბა გუნდში 2015 წლამდე დარჩება. პაველთან კონტრაქტის გახანგრძლივება ჩვენი პრიორიტეტი იყო. იმედი მაქვს, მისი ხელმძღვანელობით გუნდი მორიგ წარმატებულ სეზონს ჩაატარებს.

პაველ ვრბა:

– ძალიან კარგი წინადადება მივიღე და ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ბევრი არ მიფიქრია. გვსურს, წარმატებული ვიყოთ როგორც საშინაო ჩემპიონატში, ასევე ევროპის ლიგაში. დარწმუნებული ვარ, გუნდს ეს შეუძლია. ევროპის ლიგაში რაც შეიძლება მეტი ეტაპის გავლა გვინდა. მიმდინარე სეზონს სრულიად სხვა მდგომარეობაში ვხვდებით, ვიდრე სამი წლის წინ. ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე უნდა ვიყოთ, რათა შემდეგ ეტაპზე გავიდეთ. დიდი იმედგაცრუება იქნება, თუ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს ვერ დავძლევთ. ჩვენ ისეთ ფეხბურთელებს ვეძებდით, რომლებიც თავიანთი სათამაშო სტილით გუნდიდან წასულ პილარსა და პეტრჟელას ჰგავდნენ. ვიცით, როგორი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და მოთამაშეებსაც ამის მიხედვით ვარჩევდით. ასე რომ, ვინც გუნდში მოვიდნენ, სწრაფები და ტექნიკურები არიან. რაც შეეხება მალაქიანს, ის ჭკვიანი მოთამაშეა, რომელიც მარცხნიდან თამაშობს და კარგი მონაცემები აქვს. მას პილარის შემცვლელად მოვიაზრებთ.

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი „მეტალურგსა“ და „პლზენს“ შორის ხვალ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე 20.00 საათზე დაიწყება.

მ. ჟ.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. სამხედრო ნაწილის საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა; 2. თაღლითი, რომელიც რაიმეს სპეციალისტად ასაღებს თავს; 3.ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველი; 4. მკვრივი ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე, რკინის იარაღი; 5. ციმბირის წყლული ქართული სახელწოდება; 9. პატარა იუმორისტული საესტრადო პიესა; 11. ჟორჟ ბიზეს ოპერა; 12. ქართული ხალხური ზღაპარი; 14. ფრანგული ცხარე გემოს ცხვრის ყველი; 18. მომღერალი პოეტი მუსლიმანურ ქვეყნებში; 19. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი.

თარაზულად: 4. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 5. კუთხე საქართველოში; 6. ბაღჩეული ხილი; 7. სასიამოვნო სურნელება; 8. ბრიტანული ფარმაცევტული ფირმა; 10. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 13. უღელტეხილი კავკასიონზე; 15. ესპანეთის ძველი დედაქალაქი; 16. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 17. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 20. მაღალფეხიანი, ბროლის ჭიქა შამპანურის დასალევად; 21. სვან მამაკაცთა ცეკვა; 22. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 23. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

შეადგინა თ.გოგიბაშვილმ

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ალებასტრი; 2. გერნიკა; 3. ვიტესი; 4. აქატი; 5. ნიანგი; 11. მაჭარი; 12. სეტერი; 14. ზებუ; 16. ლაქტოზა; 17. სარბაზი; 19. ბერინგი; 21. ბრომი; 22. ლუარა.

თარაზულად: 6. კლარნეტი; 7. სექვოია; 8. ტვენი; 9. ჰამამი; 10. სეიმი; 13. ბრიზი; 15. ალადასტური; 18. მიკრობი; 20. ალჩუ; 21. ბოხოხი; 23. კატამარანი; 24. ზარზმა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. რენუარი; 2. მეუნარგია; 3. ხერთვისი; 4. პაუპერი; 5. ლოკალი; 9. ემისია; 11. კონკური; 12. ციცარი; 14. ვაუჩერი; 18. არავა; 19. შარკო.

თარაზულად: 4. პობედა; 5. ლოველასი; 6. ჩელსი; 7. გურზუფი; 8. ენისეი; 10. ეთიკა; 13. რაველი; 15. რაბინი; 16. საკე; 17. დილა; 20. ჩაჩავა; 21. ყინული; 22. დავლური; 23. კუმისი.

...ავღანელ ჯარისკაცს სიკვდილი მიუსაჯეს

...ოფიციალური პირების ...ადებით, სამხედრო სასა... ...ლომ სიკვდილით დასჯა ...ჯა ავღანელ ჯარისკაცს, ...ლმაც 2012 წლის იანვარ... ...ურანგი სამხედრო მოკლა. ...„ბი-ბი-სი"-ს ცნობით, აბ... ...საბურმა ფრანგ სამხედ... ...რებს ცეცხლი ერთობლივი ...ტრაციის მსვლელობის დროს ...ასნა. ამ ინციდენტის შემდეგ ...დღეში საფრანგეთის პრე... ...ნტმა ნიკოლა სარკოზიმ გა... ...ცხადა, რომ ფრანგი კონტინ... ...ენტი ავღანეთს დათქმულ ვა... ...ზე ადრე დატოვებდა.

ეს პირველი შემთხვევა ...ოფილა, როდესაც ავღანე... ...ჯარისკაცები ნატოს სამხედ... ...ებს კლავენ.

როგორც აღნიშნავენ, აბ... ...ელ საბურს ფსიქიკური პრობ... ...ლემები აწუხებდა. ამის გამო, შესაძლოა, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მოხდეს.

ხელისუფლების განცხადებით, დამნაშავემ გაყალბებული დოკუმენტების მეშვეობით შეძლო არმიაში მოხვედრა.

როგორც ცნობილია, 25 წლის ავღანელმა ოფიცერმა განათლება პაკისტანში მიიღო.

აბდულ საბური უსაფრთხოების სისტემების მუშაობაზე აგებდა პასუხს და იმ საიდუმლო რადიოარხებზე მიუწვდებოდა ხელი, რომლითაც მაღალჩინოსნები სარგებლობდნენ. ის შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე სხვა სახელმწიფო უწყებაში მუშაობდა.

ჩინეთში წყალდიდობამ 30 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა



...ჩინეთში რამდენიმე დღის გა...ვლებელი წვიმების შედეგად, 30 ...ადამიანი დაიღუპა. ჩინური ...ია რამდენიმე დღის წინ პრო...ციკა გუიჩჟოუში კიდევ 11 ადა...ბის დაღუპვას იტყობინებო...და.

...ამოქალაქო ადმინისტრაციის ...ინისტრის განცხადებით, ბო...ლ ორი კვირის განმავლობაში 7 ...ილიონი ადამიანი დაზარალ...და. განსაკუთრებული ზიანი მი...ყენა ცხიანსუს, ანხოის, ხუბეის, ...ეანის და გუიჩჟოუს პროვინ...ციებს, სტიქიამ 64 000-მდე საცხოვრებელი სახლი დაანგრია. ქვეყანას დაახლოებით 3, 82 მილიარდი დოლარის ზარალი მიადგა.

წყალდიდობის გამო 12 ათასი სახლი დაინგრა, 64 ათასი დაზიანდა და 478 ათასი ჰექტარი მინა დაიტბორა.

წყალდიდობამ ჩინეთს 600 მილიონ დოლარამდე ეკონომიკური ზარალი მიაყენა.

ხუბეისა და გუიჩჟოუს პროვინციებში სამაშველო სამუშაოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად გადაგზავნილ

კოკისპირულმა წვიმებმა იაპონიაში, რომელიც რამდენიმე დღეა გრძელდება, 22 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 5 500 ადამიანი კი საცხოვრებლის გარეშე დარჩა. კუნძულ კიუსიუზე საცხოვრებელი კვარტალები წყალშია ჩაძირული.

სოფლებისკენ მიმავალი გზები ჩანგრეულია და ათასობით ადამიანი გარესამყაროს მოწყვეტილია.

იაპონიის ხელისუფლებამ ფუკუსიმას, საგას, ოიტასა და კუმამოტოს პრეფექტურის მცხოვრებლებს საცხოვრებელი სახლების დატოვება ურჩია. ევაკუაციის ზონაში 400 000 ადამიანია მოხვედრილი. მეტეოროლოგთა განცხადებით, რამდენიმე დღეში წვიმები ისევ შეიძლება განმეორდეს.

იაპონიაში კოკისპირული წვიმები რამდენიმე დღეა არ წყდება. ექვსი ადამიანი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება.

სტიქიის შედეგად მაშველებმა 250 ათასი ადამიანის ევაკუაცია განახორციელეს. წყალდიდობის შედეგად ყველაზე მეტად კოსიუს კუნძულები დაზარალდა.

ჩრდილოეთ კორეას ახალი ვიცე-მარშალი ჰყავს

ჩრდილოეთ კორეას ახალი ვიცე-მარშალი, 69 წლის ჰიონ ...ონ ჩოლი ეყოლება. ...რდილოეთ კორეას ...ულ ოთხი ვიცე-მარშალი ჰყავს, რომლებიც მთლიანად ჯარს ...ართავენ, ხოლო უზენესი მმართველი მარშალი თავად ქვეყნის ...ლიდერი კიმ ჩენ ინია.

წინა ვიცე-მარშალის რი...ონ ჰოს გათავისუფლებამ ექსპერტები გააკვირვა. მათი ...ქმით, ასეთი ნაბიჯი ნამდვილად მოულოდნელი იყო. რი იონ ...ონ წინა ბელადის კიმ ჩონ ილის ...როს დაინიშნა ვიცე-მარშალად ...ელადის გარდაცვალების წინ. ...ათავისუფლების ოფიციალური მიზეზი ავადმყოფობაა, თუმცა ექსპერტები ვარაუდობენ, ...რომ ახალგაზრდა ლიდერი სამ...ედრო მეთაურობას შედარებით ახალი თაობით ანაცვლებს. ...ათი ვარაუდით კიმ ჩენ ინს ქვეყ...ნის ახალი გზით წაყვანა სურს.

კიმ ჩენ ინმა შეიარაღებული ჯარების მთავარსარდლის თანამდებობა ოფიციალურად დაიკავა 2011 წლის 17 დეკემბერს, კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ. დაიბადა 1982, 1983 ან 1984 წელს (ზუსტი თარიღი ცნობილი არაა. იგი არის კიმ ჩენ ირისა და მისი მესამე ცოლის, ყოფილი მსახიობის კო იონ ჰის მესამე შვილი. სამხრეთ კორეის დაზვერვის მონაცემებით, კიმ ჩენ ინი სწავლობდა ბერნის საერთაშორისო სკოლაში. 2002 წლიდან კი სწავლობს კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტში.

შოამზადა გერა მამულაშვილმა

კლინტონი ირანს ემუქრება



ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ისრაელში გამართულ პრესკონფერენციაზე ირანს დაემუქრა, რომ ამერიკა „თავისი სიძლიერის ყველა ელემენტს" გამოიყენებს, რათა არ დაუშვას ირანის ატომური იარაღის ამოქმედება, თუმცა ჯერჯერობით ამერიკა ისევ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს ამჯობინებს.

– ირანი ამჟამად დიდი ზეწოლის ქვეშაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ჩვენ ავამუშავებთ ჩვენი სიმძლავრის ყველა ელემენტს, რათა მას არ მივცეთ საშუალება, მიიღოს ატომური იარაღი. ირანელ ლიდერებს კიდევ აქვთ დრო, სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. არჩევანი ახლა ირანზეა, – აცხადებს სახელმწიფო მდივანი. ჰილარი კლინტონი „ეგვიპტური პომიდვრებით დახვედრის" თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ საბედნიეროდ მისი კორტეჟიდან და იქ შეკრებილი საზოგადოებიდან არავინ დაშავებულა. შეგახსენებთ, ამერიკის სახელმწიფო მდივანს ქალაქ ალექსანდრიის ამერიკის საელჩოს შენობიდან გამოსვლისას ეგვიპტელებმა პომიდვრები და ბოთლები დაუშინეს.

• რაც შეეხება ირანის ბირთვულ პროგრამას, მისი განხორციელება დაიწყო 1967 წელს, როდესაც აშშ-მა ირანის შაჰ მუჰამედ რეზა ფეჰლევის 5 მეგავატის სიმძლავრის ატომური რეაქტორი მისცა. რეაქტორების მშენებლობაში ტექნოლოგიურ დახმარებას ირანს შემდგომში უწევდნენ გერმანია და საფრანგეთი. ირანმა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას ხელი მოაწერა 1968 წელს, ხოლო რატიფიცირება გაუკეთა 1970 წელს.

მკვდარი კადაფის უცნობი ვიდეო გააავრცელეს

ლიბიის ყოფილი ხელმძღვანელის მუამარ კადაფის დაღუპვიდან ცხრა თვის შემდეგ გავრცელდა კიდევ ერთი ვიდეო, სადაც ჩანს, როგორი სისასტიკით ექცევიან გამარჯვებული ამბოხებულები გარდაცვლილი კადაფის სხეულს, როგორ იცინიან და ერთობიან ამბოხებულები გარდაცვლილი დიქტატორის სხეულით, – იუწყება ნიუსრუ.ქომი.

მისი ინფორმაციით, სკანდალური ვიდეო ინტერნეტში მას შემდეგ აიტაცეს, რაც ერთ-ერთმა სირიელმა აქტივისტმა სამი ალ-ხამვიმ იგი თავის მიკრობლოგში გაავრცელა იმ მიზნით, რომ ვითომდა შეეშინებინა სირიის ლიდერი ბაშარ ასადი. ვიდეოს ავტორის თქმით, ეს კადრები ვინმემ აუცილებლად უნდა აჩვენოს ბაშარ ასადს, რათა მასაც იგივე ბედი არ ეწიოს.

ერთნუთიანი ჩანაწერი სავარაუდოდ დალუქულია და ვერ ხერხდება მისი ექსპერტიზა, რათა დადგინდეს, რეალურ ფაქტებს აღწერს თუ არა იგი. ამის მიუხედავად თვალსაჩინოდ ჩანს, რომ კადრებში ასახულია 2011 წლის 20 ოქტომბერი, როდესაც მეამბოხე ჯარებმა შეიპყრეს და მოკლეს კადაფი, შემდეგ კი ახალგაზრდების ბრბო „ვაშას" შეძახილით უყურებს მანქანას, სადაც სისხლიანი დიქტატორის სხეული ასვენია.

მოულოდნელად ერთ-ერთი ამბოხებული იღებს გარდაცვლილის თავს და იწყებს მისით მანიპულირებას ისე, როგორც თოჯინით. იგი არაბულად საუბრობს, როგორც ჩანს, დასცინის გარდაცვლილ ლიდერს.



მუამარ ბენ მუჰამედ აბუ მენიარ აბდელ სელიამ ბენ ჰამიდ ალ-ყადაფი (დ. 7 ივნისი, 1942 – 20 ოქტომბერი, 2011, სირტე, ლიბია), იყო ლიბიის დე-ფაქტო ლიდერი 1969-2011 წწ. ცნობილია როგორც „პოლკოვნიკი კადაფი".

2009 წლის 8 ივნისს გაბონის პრეზიდენტის ომარ ბონგოს გარდაცვალების შემდეგ ის გახდა მესამე მმართველი, რომელიც ყველაზე დიდი ხნის განმავლობაში მართავდა სახელმწიფოს.

2009 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც აირჩიეს აფრიკის კავშირის თავმჯდომარედ ეთიოპიაში, კადაფიმ მიმართა შეკრებილ აფრიკელ ლიდერებს: „მე გავაგრძელებ დაჟინებულ მოქმედებას, რათა ჩვენმა სუვერენულმა ქვეყნებმა იმუშაონ და მიაღწიონ აფრიკის შეერთებულ შტატებს".

ბაშარ ასადი მზადაა, ქიმიური იარაღი გამოიყენოს

სირიის მაღალი რანგის დიპლომატი, რომელიც ოპოზიციის მხარეს გადავიდა, ბი-ბი-სისთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ასადი მზადაა გამოიყენოს ქიმიური იარაღი, თუ გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდება. სირიის ყოფილი ელჩი ერაყში ნაბაფ ფარესი აცხადებს, რომ დაუდასტურებელი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ რეჟიმმა უკვე გამოიყენა ქიმიური იარაღი. სხვადასხვა ქალაქებში ბომბების აფეთქება სირიის რეჟიმმა და ალ-ქაიდას ბოევიკებმა ერთობლივად განახორციელეს.

დიპლომატი აცხადებს, რომ პრეზიდენტი ბაშარ ასადი ხელისუფლებას მშვიდობიანად არ დათმობს. იგი მიიჩნევს, რომ ასადი ყველა ძალით შეეცდება ხელისუფლებაში დარჩენას, „თუნდაც ამისთვის მას მთელი სირიელი ხალხის გაწირვამ მოუწიოს". ამავე დროს, დიპლომატი დარწმუნებულია სირიის რეჟიმის დამარცხებაში.

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხელისუფლება მალე დაემხობა. ვიმედოვნებ, რომ ეს მოხდება რაც შეიძლება სწრაფად, რომ მინიმუმამდე შემცირდეს მსხვერპლი, – განაცხადა ფარესმა. ფარესი ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია, რომელმაც ასადის რეჟიმი დატოვა. მას მმართველ პარტია „ბაასში" უსაფრთხოების ორგანოებში მაღალი თანამდებობები ეკავა. იყო სირიის სხვადასხვა პროვინციის გუბერნატორი.

ამ ფონზე მოსკოვში სირიაში გაეროს სპეციალური წარმომადგენელი კოფი ანანი სირიის საკითხზე სასაუბროდ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს შეხვდება. შეგახსენებთ, რომ რუსეთი, ჩინეთთან ერთად, სირიის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას ბლოკავს.

წითელმა ჯვარმა უკვე განაცხადა, რომ ქვეყანა სამოქალაქო ომის მდგომარეობაში იმყოფება. სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისია პარასკევს იწურება, მის გასაგრძელებლად გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაა საჭირო.

შეგახსენებთ, რომ სირიაში მიმდინარე დაპირისპირებას გაეროს მონაცემებით უკვე ემსხვერპლა 15 ათასამდე ადამიანი.

მუბარაქს ციხეში აბრუნებენ

ეგვიპტის გენერალურმა პროკურორმა დაადგინა, რომ ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ციხეში უნდა დაბრუნდეს, იქიდან გამომდინარე, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა.

პროკურორის თანაშემწის განცხადებით, გადაწყვეტილება სპეციალური სამედიცინო მოხსენების საფუძველზე მიიღეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მუბარაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა მის ასაკთან მიმართებაში სტაბილურია. ცნობისათვის, მუბარაქი 84 წლის არის. ამ დროისათვის უცნობია, ზუსტად როდის მოხდება მუბარაქის ციხეში დაბრუნება.

მუბარაქის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემდეგ იგი ციხიდან სამხედრო ჰოსპიტალში ივნისში გადაიყვანეს. რამდენადაც ცნობილია, ყოფილმა პრეზიდენტმა რამდენიმე ინსულტი გადიტანა. ცნობა მისი კლინიკური სიკვდილის შესახებ ეგვიპტის ხელისუფლებამ უარყო.

ივნისში მუბარაქს 2011 წლის დასაწყისში ე.წ „არაბული გაზაფხულის" დღეებში დემონსტრანტების მკვლელობაში მონაწილეობის გამო სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

მოჰამედ ჰოსნი მუბარაქი, ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტი იყო 1981-2011 წლებში. თანამდებობა დაიკავა პრეზიდენტ ანვარ ალ-სადათის მკვლელობის შემდეგ. იგი ეგვიპტის ყველაზე ხანგრძლივად მმართველია მუჰამედ ალი ფაშას შემდეგ.

2011 წლის 11 თებერვალს ჰოსნი მუბარაქი, რომელიც ეგვიპტეს 30 წლის განმავლობაში მართავდა, გადადგა. ხელისუფლება სამხედროების ხელში გადავიდა. 2012 წლის 2 ივნისს კაიროს სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეგვიპტის ყოფილ პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს სამუდამო პატიმრობა შეეფარდა. იგი რეჟიმის წინააღმდეგ გამოსული დემონსტრანტების მკვლელობაშია დადანაშაულებული.

TV პროგრამა

ოთხშაბათი

18 ივლისი

07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.20 დოკ. ფილმი „სიცოცხლე ადამიანის შემდეგ" 15.00, 21.00 სერ.„დეტექტივი„ 17.00 ეკონომ მენიუ 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „ოჯახური გამოძიება„ 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ღამის საუბრები. 00.00 მხ. ფილმი „შენნაირი ღიმილი„ 02.00 მხ. ფილმი „ბოლო მომენტში„ 03.30 მხ. ფ. „მისის სტოუნის რომაული გაზაფხული„ 05.50 დოკ. ფილმი „სიცოცხლე ადამიანის შემდეგ„

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. „ბელოე შანსი„ 20.00 მხ. ფილმი „იმპერია„ 5-6 სერ. 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი „როზანას საფლავი„

07.30 იმედის დილა 10.05 ან. ფილმი „სპანჯბობი„ 10.30 სერ. „მოუარული ბედნიერება„ 11.30 ქრონიკა+ 11.00, 11.30. 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.50 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „ღვინის გზა„ 15.40 რომ გადახვალ, გააჩერე (განგ.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „მმკვიდრეები„ 22.00 მე მიყვარს საქართველო 23.30 ხანუმა. 00.40 რემონტი 01.30 მხ. ფილმი „კრისტი„ 03.25 მხ.ფ.„საბედისწერო მოგზაურობა„ (მ. ჯორჯი) 05.15 მხ.ფ.„სიკვდილის მანქანა„ 06.45 მუსიკა.

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „ეჰვი და სიყვარული„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 თქვენი მოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მგზნებარე გული„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „ჩემი შეყვარებული„ 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.15 სერ.„მარტოხელა მტრედი„ 13.00 მხ. ფილმი 15.15 ან. ფილმი 17.10 სერ. „ელიზა და რიგომბრონზა„ 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ.“გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 01.50 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 10.30 დოკ. ფილმი „ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ„ 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „საბა„ 12.50 სერ. „კეთილშობილი თაღლითები„ 13.50 დოკ. ფილმი „ისინი„ 15.15 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 16.00 დოკ. ფილმი „პლატინის ქორწინებები„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი „ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ„ 19.35 სერ. „კეთილშობილი თაღლითები„ 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი „ცისფერი ყინული„

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.30, 21.20 უნიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. 10.55 დოკ. ფილმი „სახარები წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის შესახებ". 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი. 12.10 დროის ჩანაწერები. 13.20 კონცერტი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნიუთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფ. „ველური ბნუება„. 16.00 დოკ. ფილმი „მოგზაურობა ბარტ ვულფტან„. 16.35 კვირიაკე. 17.05 საუკუნის პორტრეტები – კირიონ II. 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.00 სიახლენი. 19.20 მხ. ფილმი „ჩარირამა„. 23.15 დოკ. ფილმი „ჯვარსახოვანი გზა„. 01.00 კონცერტი „ე.სავიეკი„. 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 ერთსულოვნების სალონი.

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

18 ივლისი

აშშ დოლარი — 1,6369

ევრო — 2,0455

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586

რუსული რუბლი — 0,0498

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 32-34, ღამით — 20-22.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27-30, ღამით — 17-18.

ამინდის პროგნოზი 18 ივლისისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 ივნისიდან!
დიდი საზაფხულო აქცია
ქართული მწერლობის საუნჯე
„ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი

ასტროპროგნოზი
18 ივლისისთვის

ვერძი — დღეს არ ღირს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. **კურო** — საყიდლებზე წასვლა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ტყუპები** — ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **კირჩხიბი** — იაქტიურეთ. თქვენი დღეა. **ლომი** — ფულს შოულობთ. ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ქალწული** — საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ. **სასწორი** — გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. **ღრიანკალი** — გარშემომყოფები თქვენგან მეტ ყურადღებას მოითხოვენ. **მშვილდოსანი** — წარმატებული დღეა. ყველაფერი გამოგდით. **თხის რქა** — ემოციებს ნუ აჰყვებით. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამოთქმებისაგან. **ვერწყული** — სიყვარულში გიმართლებთ. გელით სიურპრიზი. **თევზები** — ერიდეთ შორეულ მგზავრობას. ნუ გარისკავთ.

ბისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობის პირველი ეტაპი დაიწყო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა– თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თბილისში, მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის პირველი ეტაპი დაიწყო. მშენებლებმა საძირკველში ჩაატანეს ის ქვები, რომლებიც მრევლმა მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით მახათაზე მიიტანა და ზედ თავისი ოჯახის წევრების სახელები დაწერა. როგორც ფონდ „ივერიისას“ ხელმძღვანელი პაატა ბურჭულაძე აღნიშნავს, ამ ტაძრის ასაშენებლად ფონდში უკვე გაწევრიანებულია 175.000 ადამიანი და მათ საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ ტაძრის მშენებლობაში. მთლიანობაში ტაძრის ანგარიშზე 2.000.000 ლარია განთავსებული, რომელსაც სხვადასხვა საქველმოქმედო საღამოებისა თუ აქციების შედეგად მოგროვილი თანხებიც ემატება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

არველაძე და იონანიძე ორასიანთა ორასეულში

მსოფლიო ფეხბურთის სტატისტიკისა და სტატისტიკის საერთაშორისო ასოციაციამ იმ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომელთაც სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგებში 200 ან მეტი გოლი გაუტანიათ.

ასეთი სულ 319 ფეხბურთელია, და მათ შორის ორი ქართველიცაა – შოთა არველაძე და ზურაბ იონანიძე. შოთა 92-ე ადგილზეა – მას საქართველოს, თურქეთის, ჰოლანდიის, შოტლანდიისა და ესპანეთის რანგით უმაღლეს ლიგებში 430 მატჩი აქვს ჩატარებული და 263 გოლი გატანილი. ანალოგიურ შეეხება იონანიძეს, მას 482 მატჩი, 231 გოლი გაუტანია და 187-ე პოზიციაზეა.

საინტერესოა, რომ ყოფილ საბჭოეთის ქვეყნებიდან ქართველებს მხოლოდ ესტონელი მაქსიმ გრუზნოვი უწერებს, რომელსაც 302-ჯერ გაუტანია და კვლავაც თამაშობს კლუბ „ტრანსში“. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გრუზნოვი ესტონეთს არ გასცილებია და გოლებს მხოლოდ ამ სუსტ ჩემპიონატში აქვს გატანილი.

ყველა დროის საუკეთესო მეგოლე კი, ცხადია, „ფეხბურთის მეფე“ პელე გახლავთ და ისიც საინტერესოა, რომ ტოპ-ხუთეულში 3 ბრაზილიელია:

1.პელე (ბრაზილია, 1957-77) – 560 მატჩი, 541 გოლი; 2.იოზეფ ბიკანი (ჩეხოსლოვაკია, 1931-55) – 341, 518; 3.ფერენც პუშკაში (უნგრეთი, 1943-66) – 533, 511; 4.რომარიო (ბრაზილია, 1985 – 2007) – 612, 489; 5.რობერტო „დინამიტი“ (ბრაზილია, 1971-92) – 758,470.

ჟ. ტ

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 3. ფულის ერთეული ისრაელში; 4. ტროპიკული ხილი; 5. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 11. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 12. შეღამება, საღამოს ბინდის ძველი ქართული სახელწოდება; 14. დემონი არაბულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი, დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 17. ქალაქი იმერეთში; 19. შხამიანი ნივთიერება, რომელსაც გამოყოფს ზოგი მცენარე, მიკროორგანიზმი; 21. ვაშლის ღვინო; 22. ფრანგი შანსონიე ქალი.

თარაზულად: 6. სათამაშო სახლი, კაზინო; 7. დაქანებული მოედანი გემბის წყალში ჩასაშვებად; 8. ზღვისპირა კურორტი საქართველოში; 9. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 10. ყველაზე ნელი მუსიკალური ტემპი; 13. ვეშაპებზე სანადირო სატყორცნი იარაღი; 15. ამერიკელ ზანგების სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 20. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი თავსატეხი; 22. სისხლის ნნევის აწევა; 24. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



4 ივლისიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით – „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა – ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...